# საქართველო

პიროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ!

პიროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ!
ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სახალხო ფრონტის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№ 19 (46) 27 სექტემბერი 1991


# „ეგ თოფები იმათ დაუშინეთ, ვინც დაგირიგათ!“

ნოდარ გრიგალაშვილი

●

ვიცი, ამ წერილის წაკითხვის შემდეგ, ხელისუფლების წარმომადგენლები საბოლოოდ ჩაიქნევენ ჩემზე ხელს, ამას საჩვენო პირი არ უჩანს, სულ წამხდარა ეს კაციო, — იტყვიან.

ჩაიქნევენ და ჩაიქნიონ!

იმათ გაუძლებს კაცი.

უფრო ცუდი და სამწუხარო ის არის, ხელისუფლების სასახლესთან მიდარაჯებული ათასობით და ათიათასობით ქართველი რომ ზიზღით აგხედ-დაგხედავს, როგორც ოკეანისგამღმელ „შპიონს“.

ზიზღით ახედ-დახედვა თუ გაკმარეს, იმასაც არა უშავს, მოითმენს ადამიანი.

„მაგარი“ ის არის, ავ მზერას მუჯლუგუნებიც თუ მოაყოლეს.

მე თქვენ გეტყვით და, მაგალითის მიმცემნი არა ჰყავთ.

ამას წინათ, რუსთაველის გამზირზე, ერთმა მანდილოსანმა შემამჩნია და მეგობარ მანდილოსნებს უკივლა, ეს არის ნოდარ გრიგალაშვილიო.

ჩემი გვარი და სახელი მათთვის, როგორც ჩანს, „პაროლად“ ჟღერდა. პაროლად, რომელიც ასე იშიფრება — ჰკა, მაგას!

ის მანდილოსანი, ქუჩაში რომ კინაღამ ფეხსაცმელი გაიძრო ჩემს დანახვაზე, კულტურის მინისტრის ყოფილი მოადგილის ცოლი გახლავთ... ქმარი რად გამიკრიტიკე გაზეთშიო — ამას მიჩიოდა...

ბეწვზე გადავრჩი...

სხვა მანდილოსნები წამომეშველნენ, რომელთათვისაც ჩემი გვარი ამ შინაარსის პაროლად აჟღერდა — ჰკა, იმათ...

●

ვიცი, ამ წერილის წაკითხვის შემდეგ, ოპოზიციის წარმომადგენლები ასევე ჩაიქნევენ ჩემზე ხელს, ეს მთლად ჩვენი არ ყოფილაო — იტყვიან.

ჩაიქნევენ და ჩაიქნიონ.

ისე, მუჯლუგუნები არც აქეთა მხარის მომხრეთაგან არის წარმოუდგენელი, მაგრამ ყველაფერს უნდა გაუძლოს კაცმა.

**„მე თუ გინდა თავი მომჭრან,**
**ტანი გახდეს გასაბერად,**
**ვინ არა ჰგავს კახაბერსა,**
**მას ვერ ვიტყვი კახაბერად“.**

ეს სიტყვები იმიტომ კი არ დაიწერა, რათა კარგად გავიზუთხოთ, დავიზეპიროთ, რომ მერე მისალებ გამოცდებზე არ ჩავიჭრათ, ჩვენი ცხოვრების კრედოდ რომ იქცეს, აი, ამისთვის ამოიგმინა დავით გურამიშვილმა.

ვახსენებ ღმერთს და მე ჩემს წილ სათქმელს ვიტყვი.

●

პირველ ყოვლისა, მინდა მივმართო ძლიერთა ამა ქვეყნისათა. **„რამეთუ არა სწორ არს ცოდვა მღვდელისა და მხედრისა, არცა ერისა და მღვდელმთავრისა, არცა მწყემსისა და სამწყსოსა“.**

1990 წლის 26 მაისს ვაკის პარკში გამართულ მიტინგზე ბატონმა ზვიად გამსახურდიამ წარმოსთქვა ბრწყინვალე სიტყვა. სიტყვის დასასრულს, სხვათაშორის, მან თქვა: ჩვენ ვივლით ქრისტეს გზით, ილიას გზით და არა ბარაბას გზით.

მე ერთი იმათთაგანი ვარ, რომელიც განუზომლად დიდ პატივს სცემდა ზვიად გამსახურდიას, სწამდა, რომ იგი ივლიდა ილიას გზით.

როგორი იყო ილიას გზა?

ეს იყო გზა სიმართლისა და სიყვარულისა.

**„ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში,**
**რასაც ვმსახურებთ, მას ერთგულად კვლავ ვემსახუროთ“** — ეს ილიაა.

საკუთარ იუბილეზე უარი სთქვა — ესეც ილია იყო.

ჩვენი პრეზიდენტის გზა ასეთი არ აღმოჩნდა.

თითქმის წელიწადია უკვე რადიო, ტელევიზია, გაზეთები თუ მომიტინგენი მის ეგზალტირებულ ქება-დიდებაში ეჯიბრებოდნენ ერთურთს და პრეზიდენტი ამას სიამოვნებით ხვდებოდა.

ქების საწინააღმდეგო რა უნდა მქონდეს, ადრე, როცა კომუნისტებს ებრძოდა, ქება არც მე დამიშურებია მისთვის, მაგრამ ზღვარგადასული არ ვარგა არაფერი.

მასზე იქმნება ისეთი სიმღერები, თავის დროზე სტალინსა და ბერიას რომ უძღვნიდნენ. აი, ერთი სიმღერა, რომელიც მთავრობის სასახლის წინ გაისმის ხალხის ეგზალტირებული შეძახილითურთ: „ზვი-ა-დი“, „ზვი-ა-დი“.



**„ზვიადი, ზვიადი,**
**ჩვენი მზე, ჩვენი დიდება.**
**იხარე, იარე —**
**ჩვენს საქართველოს სჭირდება.**
**ვინ გედრება ნეტავ,**
**რა ზნე უკვირთ შენი**
**საქართველოს მზე ხარ,**
**წამებული, ბრძენი,**

**გევედრება, ღმერთო,**
**ეს ქართველი ერი,**
**შენ გადაგვირჩინე**
**ზვიად — შვილი ჩვენი.**

**ზვიადი, ზვიადი,**
**ჩვენი მზე, ჩვენი დიდება**
**იარე, იხარე —**
**ჩვენს საქართველოს სჭირდება.**

**ზვიადი, ზვიადი,**
**ჩვენი მზეც ამობრწყინდება,**
**იარე, იხარე —**
**შენ — საქართველოს დიდებავ!“**

და მაინც, ამ აღფრთოვანებას მეც შევუერთებდი ჩემს ხმას, მისი საპატრონო ქვეყანა თავზე რომ არ გვექცეოდეს და ზვიადი მართლა ილიას გზით მიდიოდეს.

1907 წელს, როცა გურიის ასაწიოკებლად მიდიოდა ჯარი, ილია მათ წინ გადაუდგა და შესძახა: ეგ თოფები იმათ დაახალეთ, ვინც დაგირიგათ.

1991 წლის 2 სექტემბერს ზვიად გამსახურდიამ ეს არ გააკეთა და ახლა იძულებულია ამტკიცოს, რომ ტყვია ქართველმა კი არ ესროლა ქართველს, არამედ ტყვიამ შეიცვალა მიმართულება და თავისი უგუნურობის გამო დაეტაკა ქართველს...

1991 წლის 22 სექტემბერს ზვიად გამსახურდიამ ეს არ გააკეთა, პირიქით კი იმოქმედა, ძმა ძმაზე წააქეზა და ახლა მისი ტელევიზია იძულებულია ამტკიცოს, 10000 კაცი მშვიდობიანად სცემდა 150 ქართველსო (?)

იძულებულია ამტკიცოს, იმ ვიგინდარებმა წყალი კი არა, ბენზინი გადაასხეს მათ მშვიდობიან დამწიოკებლებსო...

მტერი ილია ჭავჭავაძესაც ბევრი ჰყავდა, მაგრამ ღმერთს ევედრებოდა, მომეც ძალი, რომ

**„იმათთვისაც, რომელთაც სურთ გულს ლახვარი მკრან,**
**გთხოვდე, შეუნდე, არ იციან, ღმერთო, რას იქმან“.**

ზვიად გამსახურდია კი მოწინააღმდეგე ქართველის, „მტრის“ განადგურებას ითხოვს.

ზვიად გამსახურდიას გზა არ აღმოჩნდა გზა ილიასი, საწუხარ არს ესე.

●

თბილისის ქუჩებში თოფიანი კაცები დადიან. ტელევიზიასთან ოპოზიციის თოფიანი და ავტომატიანი პირტიტველა ბიჭები დგანან.

რად გინდათ ბიჭებო ეგ თოფები, ეგ ავტომატები? — ვეკითხები მათ და ისინი მპასუხობენ: შენს დასაცავად გვინდა, თქვენს დასაცავად გვჭირდებაო. იმათ შესაშინებლად გვიჭირავს ხელში, თორემ საქმე-საქმეზე რომ მიდგეს, სროლით როგორ ვესვრით, ისინიც ქართველები არიანო.

ტყუილია ბიჭებო, ტყუილი.

პიესის მიხედვით, თუ თოფი წარმოდგენის დასაწყისში კედელზე ჰკიდია, ის თოფი მეოთხე მოქმედების დასასრულს აუცილებლად გაისვრის.

თოფიანი კაცები რომ არ ყოფილიყვნენ ქალაქში ამ დღეებში, „თელასთან“ ტრაგედია არ მოხდებოდა.

ვის კისერზეა ეს ტრაგედია, ხელისუფლებისა თუ ბატონ კიტოვანის გვარდიისა, თუ ბატონ თენგიზ სიგუასი, ეს, ცხადია, მნიშვნელოვანია, მაგრამ ამაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ თვით ტრაგედია მოხდა. მე თუ მკითხავთ, დაღუპულთა ცოდვა ორივე მხარის სულებს დაამძიმებს. გვარდია რომ ქალაქში არ ყოფილიყო, იმ ღამით ტრაგედია არ მოხდებოდა.

ფაქტი, აი, ეს არის.

თუ გვარდია დღეს გამსახურდიას ჩამოაგდებს იარაღის ძალით, არ არის გამორიცხული, ხვალ უკვე სასურველ მთავრობას იგივე გაუკეთოს სხვა თოფიანმა კაცებმა.

ამის რეციდივი ჩვენ არ უნდა დავუშვათ.

ამიტომ, ძმებო, წადით, წადით!

ისევ თქვენს ძმებთან მიდით, თქვენი უფროსი, არც კიტოვანია, არც სიგუა და არც გამსახურდია. თქვენ სამშობლოს ეკუთვნით, ამიტომ მხოლოდ სამშობლოს გარეშე მტრის წინააღმდეგ უნდა აიღოთ ხელთ იარაღი და არა რომელიმე კერძო პირის დასაცავად. როცა გარეშე მტერი დაგვემუქრება, მაშინ გამოჩნდით. ჩვენ კი, თუ მთავრობა გადაგვივლის, გადაგვიაროს.

საქართველოს უოპოზიციოდ დარჩენა სჯობია იმას, რომ საქართველოში აღარც „პოზიცია“ არსებობდეს და აღარც „ოპოზიცია“. ჩვენს მიწას კი უცხო ტომი დაეპატრონოს, რამეთუ ძმათა ომში გამარჯვებული არ არსებობს.

ამიტომ, სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს, სახელოვანი სიკვდილი მტერთან არის სასახელო და არა ძმასთან, „თელასთან“ კი ძმები დაიხოცნენ.

ყოველი ხელისუფლება, რომელიც უზნეობის გზით მიდის, თავისით დაემხობა, ცხადია, მშვიდობიანი ბრძოლის გზით, ჩვენი წაშველებითაც... მაგრამ, ამ ბუნებრივი პროცესის სისხლისღვრით დაჩქარება არ ღირს.

# ხსნის ყველა გზა ადამიანთა შეგნებაზე გაივლის

## (ინტერვიუ ბატონ ნოდარ ნათაძესთან)

**— რა არის საშიში, რომ ხიფათს გადავრჩეთ?**

— პრეზიდენტის ტელე და რადიოგანცხადება, რომ არაა საშიში რაიონებიდან ხალხის ჩამოსვლა. ამასთან, მოწოდება, რომ ვინც ჩამოსულია, შინ დაბრუნდეს. ამის საფუძველზე — ეროვნული გვარდიის დაბრუნება თავის ბაზაზე შაენაბადაზე. პოლიტიკური პრობლემების დასმა და გადაჭრა — მხოლოდ ამის შემდეგ.

**— წარდგენილია თუ არა ეს გეგმა ხელისუფლებასთან?**

— დიახ, მრავალჯერ. უკანასკნელად ეს მოხდა საპატრიარქოში, შეხვედრაზე, რომელსაც თავმჯდომარეობდა ჩვენი კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II. იქ პოლიტიკური ორგანიზაციების წარმომადგენლებმა ეს გეგმა წარვუდგინეთ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ა. ასათიანს, მის მოადგილეს ნ. ბურჯულაძეს და კიდევ ორ დეპუტატს მმართველი ბლოკიდან.

**— პასუხი რა იყო?**

— მათ თქვეს, რომ ამ გეგმას გადასცემენ პრეზიდენტს და პასუხს მეორე დილით მოგვცემენ.

**— რა პასუხი მოგცეს?**

— იმავე საღამოს პრეზიდენტმა გამოსცა ბრძანებულება საგანგებო მდგომარეობის შემოღებაზე, „სახალხო ლაშქრის“ შექმნაზე და მობილიზაციაზე. სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს: „სახალხო ლაშქარი“, როგორც მოქმედების იურიდიული ფორმა, თქვენმა მონამორჩილმა შესთავაზა პარლამენტს მაშინ, როცა სსრკ შინაგანი ჯარები შიდა ქართლში ამოქმედდნენ და ჩვენმა პარლამენტმა, ზ. გამსახურდიას წინადადებით, მათ ამის სანქცია მისცა (ერთადერთი წინააღმდეგი ჩემი ხმა იყო), მაშინ ეს ლაშქარი არ შეიქმნა. ახლა იგი იქმნება, მაგრამ არა მტრის წინააღმდეგ, არამედ ჩვენივე ოპოზიციის წინააღმდეგ.

**— მიგაჩნიათ თუ არა, რომ მდგომარეობა რეალურად სახიფათოა?**

— დიახ, მიმაჩნია. ჩიხში არა ვართ, მაგრამ ხიფათი კი არის. უცხოელი კორესპონდენტები კითხულობენ: რა ობიექტური საფუძველი აქვს სამოქალაქო ომს? მე პირადად ვპასუხობ: ჯერ ერთი, ომს კი არა, კონფლიქტს, მეორეც არავითარი ობიექტური საფუძველი არა აქვს. ესაა მხოლოდ მაღალ დონემდე გამწვავებული პირადი და ჯგუფური ურთიერთობების გამოვლინება და შედეგი. ეს მართლაც ასეა. მოკონფლიქტეების უკან არ დგას რაიმე განსხვავებული სოციალური ინტერესები, რომლებიც მათ ურთიერთშეუთავსებელ პოზიციებზე აყენებდეს. მაგრამ დაძაბულობა კი დიდია. ქუჩის მხარეს (მე მხედველობაში მყავს პრეზიდენტის მიერ მოწვეული მხარე) საქმე გვაქვს ნამდვილ ფსიქოზთან, დიახ, ფსიქოზთან, როცა ადამიანების გონებაში ერთი აზრია გაბატონებული და სხვა არავითარი აზრის ან ინფორმაციის ახლოს გაკარება არ სურთ. ყველაზე ტრაგიკული ისაა, რომ ეს ადამიანები დარწმუნებულნი არიან, კარგ საქმეს ვაკეთებთო, ქვეყნის მტრებს ვებრძვითო. ის, ვინც პრეფექტებს ერთგულების დასამტკიცებლად გამოჰყვა, საზოგადოებისათვის სახიფათო არ არის. მლიქვნელები არიან და იქნებიან, მათ ვერავითარი ძალა ვერ გამოლევს. სახიფათო არიან გულწრფელად შემცდარნი, ვისაც იმდენი მიხვედრის უნარი არა აქვს — და ახლა უკვე სურვილიც აღარა აქვს რომ გაარჩიოს, რაა განსხვავებული აზრის ქონა ქვეყნის მართვაზე და რა — ქვეყნის მტრობა.

**— ვისი ბრალია, თქვენი სიტყვით რომ ვთქვათ, ამ ფსიქოზის შექმნა?**

— მე ამაში ვადანაშაულებ მხოლოდ პრეზიდენტის პოზიციას. მან მოქალაქეთა ერთ ნაწილს, მისი სიტყვით „ხალხს“, მეორე ნაწილის, ოპოზიციის წინააღმდეგ მოუწოდა. ამით მან დაამხო ხელისუფლების ერთი ძირითადი ნიშანი — ადამიანთა განკითხვისა და დასჯის მონოპოლია. მან ეს უფლება, ასე ვთქვათ, მასას გაუნაწილა. ეს არ უქნიათ მეოცე საუკუნის ცნობილ კლასიკურ დიქტატორებს, რომელთა დასახელებაც არ მინდა. მასა სასამართლოს კი არ აწყვეტინებს ვინ არის დამნაშავე ან უდანაშაულო, არამედ თვითონ წყვეტს, ადგილზევე, ამ საკითხს და ყვირის „ჩავქოლოთ“. სამწუხაროდ, ეს უყვირილი ყოველთვის ყვირილად როდი რჩება. რუსთაველის გამზირზე ეს მასა შენობებში შევიდა და იქ მოხდა სწორედ „ოპოზიციონერთა“ დაჭრა და დასახიჩრება. ასეთ მასას, ადგილზე რომ იღებს გადაწყვეტილებას და სისრულეში მოჰყავს, ბრბო ჰქვია. პრეზიდენტის პანიკურმა მოწოდებებმა ის შედეგი მოიტანა, რომ ხალხი ბრბოდ იქცა. მაგრამ რომელი ხალხი — ქართველი ხალხი, რომელმაც უაღრესად არისტოკრატიული ნაწარმოები „ვეფხისტყაოსანი“ პერმანენტად სახალხო ნაწარმოებად გაიხადა და კაცური ღირსების უბადლო **ხალხური** დაუწერელი კოდექსი შექმნა. რა თქმა უნდა, ხალხის ბრბოდ ქცევის ამ პროცესს ჩვენში პერსპექტივა არა აქვს. მისი შედეგი გაქრება საპნის ბუშტივით და მისგან ერთი უსიამოვნო მოგონების გარდა არაფერი შეგვრჩება, როგორც გინდათ, ბრძანეთ, საქართველო ის ქვეყანა არაა, რომ მასში ოხლოკრატია იყოს შესაძლებელი.

**— ბატონო ნოდარ! თქვენ ოხლოკრატია ახსენეთ. რამდენად კანონზომიერია ამ ტერმინის გამოყენება ამ კონტექსტში თუ ეს მეტაფორა არ არის?**

— ვაი, რომ მეტაფორა არ არის. როდესაც ბრბოდ ქცეული მასა ადამიანებისა პოლიტიკის ფაქტორი ხდება, ეს ოხლოკრატიის ელემენტია. სხვათა შორის, ოხლოკრატიის ერთ-ერთი თვისება ისაა, რომ იგი ხანმოკლეა. ბრბო დიდი ხნის განმავლობაში ვერ ბატონობს: იგი ან ჩიხში ექცევა, რის შედეგადაც ახალი მმართველი მოდის, ან საზოგადოება საერთოდ იღუპება ქაოსში და მის ადგილს ვიღაც სხვა ან რაღაც სხვა იკავებს. ღმერთმა გვაშოროს ჩვენ, ქართველებს მოვლენათა ასეთი განვითარება.

**— ოპოზიციის შეცდომებს თუ ხედავთ რამეს?**

— როგორ არა. ოპოზიცია მრავალგვარია. მე მხოლოდ იმას მოგახსენებთ, რაც უშუალოდ ჩემს სიახლოვეში მოხდა ან ხდება. 16 სექტემბერს დიდი და მწვავე მიტინგი იყო რესპუბლიკის მოედანზე. მეც ვმონაწილეობდი. შემდეგ ეს მიტინგი მთავრობის სახლისკენ წავიდა. მე იგი ვერ გავაჩერე. მხოლოდ ბოლოს სამხატვრო გალერეის წინ გაჭირვებით შევძელი, ადამიანთა ერთ მცირე ჯგუფთან ერთად, იმ ხალხის შეჩერება და უკან გამობრუნება. იქ წასვლა მე მიუტევებელ შეცდომად მიმაჩნია. ამიტომ შეგნებულად აღარ წავედი შემდეგ დიდ მიტინგზე, იმავე მოედანზე, როცა გავიგე, რომ კვლავ იქით წასვლა იყო განზრახული. ზოგადად მოგახსენებთ: მე მიმაჩნია, რომ ჩვენი ქვეყნის ხსნისა და გაჯანსაღების ის პროცესი, რომელიც წინ გვიდევს, ჩვენ შეგვიძლია დიდმასშტაბიანი შინაგანი კონფლიქტების გარეშე გავიაროთ და ვალდებულნიც ვართ, ეს ვქნათ.

**— რაც აქამდე ახსენეთ, არ ეხება პოლიტიკურ პრობლემებს და პოლიტიკურ მოთხოვნებს. რას იტყვით ამ მოთხოვნებზე და, კერძოდ, იმაზე, რაც პრეზიდენტს შეეხება?**

— საპატრიარქოში კიდევ ორი მოთხოვნა გადაეცა ხელისუფლებას: ტელევიზიის თავისუფალი მუშაობის უზრუნველყოფა და სესიის მოწვევა უშუალო ტელეგადაცემით. რაც შეეხება პრეზიდენტს, მოგახსენებთ ყველა იმ პოლიტიკური დაჯგუფების აზრს, რომელთაც მე ერთგვარად წარმოვადგენ. მას შემდეგ, რაც 2 სექტემბერს მოხდა მშვიდობიანი მიტინგისათვის ცეცხლის გახსნა, ჩვენ ვთვლით, რომ პრეზიდენტს მორალური უფლება არა აქვს დარჩეს თავის პოსტზე. განვმარტავ ამ პოზიციას: საქართველო დღეს დგას თავისი მრავალსაუკუნოვანი მომავლის კარიბჭესთან და თუ ჩვენ ახლა ხალხისათვის ცეცხლის გამხსნელი პრეზიდენტის თანამდებობაზე დარჩენას დავუშვებთ, ეს იმის ნიშანი იქნება, რომ მთელი ჩვენი შემდგომი ისტორია დაფუძნებული იქნება სისხლზე და არა დემოკრატიულ პრინციპებზე. ხაზს ვუსვამ: არავის არა აქვს უფლება გადააყენოს არჩეული პრეზიდენტი. საზოგადოებას აქვს მხოლოდ ის უფლება, რომ მოითხოვოს და მოუწოდოს მას, შეასრულოს თავისი მორალური ვალდებულება — არ დარჩეს თანამდებობაზე.

**— არსებობს თუ არა საამისოდ იურიდიული მექანიზმები?**

— რა თქმა უნდა. უზენაეს საბჭოს აქვს უფლება პრეზიდენტის პოსტის საერთოდ გაუქმებისა. ამაზე პრეზიდენტს შეუძლია ვეტოს დადება, მაშინ პარლამენტი გადაწყვეტილებას ხელმეორედ იღებს, რაზედაც პრეზიდენტს ისევ შეუძლია დაადოს ვეტო. აზრთა ამ ჭიდილის რაღაც ეტაპზე საკითხი გამოდის სახალხო რეფერენდუმის განსახილველად. ასეთივე რეფერენდუმი შეიძლება ჩატარდეს იმ შემთხვევაში, თუკი შეგროვდება 350 ათასი ამომრჩევლის ხელმოწერა. მაშინ პრეზიდენტის პოსტის გაუქმება-შენარჩუნების საკითხს წყვეტს ხალხის ნება.

მე მიმაჩნია, რომ საქართველო უნდა იყოს საპარლამენტო და არა საპრეზიდენტო რესპუბლიკა. ასე ვფიქრობ ორი მიზეზის გამო. პირველი: დღეს საქართველოს ხელისუფლება ვერ აკონტროლებს სიტუაციას რესპუბლიკის ფარგლებშიც კი. ეს, გარკვეული აზრით, ამ ხელისუფლების დამცირებაა. ამიტომ სჯობს, რომ ასეთი დამოკიდებულება ეხებოდეს რაც შეიძლება ნაკლებ ტიტულატურის მქონე მმართველს, ვთქვათ, უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს. ან პარლამენტის მიერ არჩეულ პრეზიდენტს და არა ხალხის მიერ არჩეულს. ეს მოსაზრება მაშინაც მქონდა, როცა საპრეზიდენტო არჩევნებში ვმონაწილეობდი. მეორე მოსაზრება, რომელიც მაშინ არ მქონია, მაგრამ რომლისთვისაც ლოგიკური წანამძღვრები იმ დროსაც შეიძლებოდა კარგად დაგვენახათ: ეს მოტივი უფრო პრინციპულია: როდესაც არ არსებობს სამოქალაქო საზოგადოება ე. ი. საზოგადოება, რომელიც დამოუკიდებელია სახელმწიფო აპარატისა და სახელმწიფოებრივი სტრუქტურებისაგან, პრეზიდენტის წინაშე დიდია დიქტატურის ცდუნება. ჩვენთან სამოქალაქო საზოგადოება არ არსებობს. საზოგადოების ყველა წრე არსებითად დამოკიდებულია სახელმწიფოზე — რიგითი ადამიანი არ არის ეკონომიკურად დამოუკიდებელი, მას არ შეუძლია თავისი საწარმოს შექმნა, თავისი საკუთარი შრომის თავისუფლად გაყიდვა და ა. შ. როდესაც პიროვნება ადმინისტრაციულ მექანიზმზე აღარ არის დამოკიდებული, მაშინ და მხოლოდ მაშინ შეიძლება სახელმწიფოს სამართავად პრეზიდენტობის შემოღება. აქამდე უნდა არსებობდეს მხოლოდ საპარლამენტო რესპუბლიკა, პარლამენტის დათხოვნა ხალხს შეუძლია ნებისმიერ დროს, საამისო მექანიზმები არსებობს. იმ შემთხვევაში, თუკი უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის კურსი პრინციპულად ეწინააღმდეგება დეპუტატთა უმრავლესობის მსოფლმხედველობას, მისი გადარჩევა თავად პარლამენტს შეუძლია. ჩვენ დღეს სწორედ ასეთი მმართველობა გვჭირდება.

**— როგორ შევათავსოთ თქვენი მსჯელობა თქვენს მონაწილეობასთან საპრეზიდენტო არჩევნებში?**

— პირველი მოსაზრება პრეზიდენტობის ინსტიტუტის საწინააღმდეგოდ, როგორც გითხარით მაშინაც მქონდა. არც ვაპირებდი მონაწილეობას, მაგრამ მონაწილეობა მივიღე შემდეგი მოტივით: როცა ასეთი მნიშვნელოვანი არჩევანი ხდება, ამომრჩეველმა უნდა იცოდეს, რომ იგი პასუხისმგებელია თავის არჩევანზე. ამიტომ, განურჩევლად კენჭისყრის მოსალოდნელი შედეგებისა, მას რაც შეიძლება ფართო არჩევანი უნდა შეუქმნა. პირდაპირობისთვის ნუ დამძრახავთ — რაც ერს გააჩნია მეტნაკლებად ცნობილი ძალები გონების, ნების, პოლიტიკური უნარის მხრივ, ყველა თვალწინ უნდა დაულაგო და თავისუფალი გადაწყვეტის საშუალება მისცე. ამომრჩეველს არ უნდა ჰქონდეს სათქმელი: „რა მექნა, ამ ერთი და ორი კაცის გარდა არავინ მყავდა სიაში და ჩემს არჩევანზე დიდ პასუხისმგებლობას ნუ მომთხოვთო“. ამიტომაც გულდაწყვეტილი დავრჩი, რომ, მაგალითად, ისეთმა პოპულარულმა და სანდო კაცმა, როგორიც ა. ბაქრაძეა, არჩევნებში მონაწილეობა არ მიიღო. მე დღესაც გამართლებულად მიმაჩნია, მიუხედავად ყველა საწინააღმდეგო მოსაზრებისა, ჩემი მონაწილეობა მაისის არჩევნებში, რადგან ეს სამომავლო საქმისათვის დადებითი ფაქტორია.

თუ ვინმეს ახსოვს წინასაარჩევნო გამოსვლები, ტელევიზიით და შეხვედრებზე, მე ყოველთვის ხაზს ვუსვამდი, რომ პრეზიდენტის უფლებამოსილების მკვეთრი შემცირების მომხრე ვარ.

**— თქვენ ადრეც არ ეთანხმებოდით გამსახურდიას პოლიტიკას, ჯერ კიდევ ორ სექტემბრამდე. რას ეხებოდა ეს უთანხმოება?**

— არსებითად შემდეგს: ჯერ ერთი, არადემოკრატიულობას, რამდენადაც მე მიმაჩნია, რომ დემოკრატია განუყოფელია თავისუფლებისგანაც და სახელმწიფო ძლიერებისგანაც. იმაზე, რომ დემოკრატია თავისთავად ღირებულებაა, აქ აღარაფერს ვამბობ. მეორე: სოციალისტური ეკონომიკის თითქმის ხელუხლებლად დატოვებას. მესამე: ყოველდღიურ, ყოფითი უსამართლობის თითქმის ხელუხლებლად დატოვებას (სამართალდამცველ ორგანოებთან, პროკურატურასთან მიმართებაში და ა. შ.). მეოთხე: არასაკმარისად მტკიცე პოლიტიკას საბჭოთა კავშირთან ურთიერთობაში და (რამდენადაც მესმის) უუნარო პოლიტიკას ჩვენი საერთაშორისო აღიარების მოპოვებისათვის ბრძოლაში. პრეზიდენტისგანაც და სხვებისგანაც ხშირად გაიგონებთ, რომ საქართველოს და მის პრეზიდენტს სახელს უტეხენ „ოპოზიციონერები“ საზღვარგარეთ არასახარბიელო ინფორმაციის გაგზავნით. ეს, რა თქმა უნდა, მართალი არ არის. პრეზიდენტის სახელის **გამოუსწორებელი** დაზარალება მსოფლიოს თვალში, ძირითადად, მისივე ინტერვიუების შედეგია, აგრეთვე, — მისი ზოგი უაღრესად დაუფიქრებელი პრაქტიკული ნაბიჯისა. არ გავაგრძელებ სიტყვას ისეთ განცხადებებზე, როგორიცაა დებულება, პოლიტიკური ოპოზიცია არ მყავს, ჩემი ოპოზიცია კრიმინალურიაო; ან იმაზე, რომ პრეზიდენტის განცხადებები ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგოა. ვახსენებ მხოლოდ ერთ სფეროს, რომელშიც პრეზიდენტს არ სჭირდებოდა რაიმეს მოჩვენება ან დამალვა, არამედ სჭირდებოდა მხოლოდ სიმართლის თქმა და გატანა. მხედველობაში მაქვს ჩვენი პრინციპები ეროვნული ურთიერთობის დარგში. ჩვენი პრინციპები ასეთია: ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელს, როგორც ინდივიდს, აქვს ყველა სხვა მოქალაქის აბსოლუტურად თანასწორი უფლებები. ეროვნულ უმცირესობას როგორც ასეთს, აქვს: ა) კულტურული ავტონომიის უფლება (დედაენაზე სწავლა, კულტურული განვითარების შეუზღუდველობა და ა. შ.), ბ) ეროვნული სახის დაცვისაკენ მიმართული სპეციალური ღონისძიებების უფლება (ანუ საგანგებო ზრუნვა ამ ჯგუფის ეროვნული სახის შენარჩუნებისათვის), გ) ეკონომიკური და პოლიტიკური ავტონომიის უფლება (საკუთარი ეკონომიკური წამოწყებების და პოლიტიკური ორგანიზაციების შექმნის უფლება),

დ) ავტონომიური თვითმმართველობის, ანუ ამ ჯგუფის მიერ თავისი თავის მართვის უფლება (თავის შიგნით კონფლიქტების განხილვა, საკუთარი წესით, რომელიც არ ეწინააღმდეგება სახელმწიფოს საერთო კანონმდებლობას). მაგრამ ეროვნული ჯგუფის უფლებებში არ შედის (თუ დამატებითი გარემოებები არ არსებობს) საქართველოს ტერიტორიის იმ ნაწილის სტატუსის განსაზღვრის უფლება, რომელზედაც იგი ცხოვრობს. სხვა სიტყვით, რომ ვთქვათ, ეროვნულ უმცირესობას უფლება აქვს განსაზღვროს თავისი თავი, მაგრამ არა საქართველოს მიწის ბედი. „დამატებითი გარემოება“, რომელიც ზემოთ ვახსენეთ, ის არის, რომ ეროვნული უმცირესობა ავტოქთონურია (ადგილობრივია თავისი წარმოშობით), ანუ თავის ისტორიულ ტერიტორიაზე ცხოვრობს, და სხვა ეროვნული ტერიტორია მსოფლიოში არ გააჩნია. ასეთ შემთხვევაში — და მხოლოდ ასეთ შემთხვევაში — შედის ამ ეროვნული ჯგუფის ფუნქციებში ამ ტერიტორიის ბედის განსაზღვრა. საქართველოში ასეთი ეროვნული ჯგუფი მხოლოდ ორია: — ქართველები და აფხაზები. და, ამგვარად მხოლოდ ესენი ვართ არა ამა და ამ ერის წარმომადგენლები, არამედ თვით ეს ერები. როგორც ცნობილია, აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართველი ერიც ავტოხთონურია და ამიტომ ამ ტერიტორიის სტატუსის განსაზღვრა ერთის ფუნქციებშიც შედის და მეორისაშიც, რის გამოც ერთადერთი მართებული პოზიცია აქ შეთანხმების პოზიცია შეიძლება იყოს. როგორც ვხედავთ, პოზიცია აბსოლუტურად გამჭვირვალეა და ღვთისა და კაცის წინაშე მართალი, თვით იმ თანამედროვე, კეთილდღიანი კაცის ჩათვლით, რომელსაც თავისი ეროვნული პრობლემა მოგვარებული აქვს და ამიტომ სხვისას ვერ ხედავს. საქართველოს ხელისუფლებას თავისუფლად შეუძლია ეს პოზიცია თანამიმდევრულად დაიცვას და გაიტანოს, მაგრამ იგი ამას ვერ აკეთებს იმიტომ, რომ ამის უნარი არ ჰყოფნის. პირადად პრეზიდენტის მოღვაწეობა ამ სფეროში, სამწუხაროდ, შეიძლება ასე დახასიათდეს: უმართებულოდ შემტევი განცხადებები და კაპიტულანტური პრაქტიკა. ყოველივე ამან განაპირობა იმის აუცილებლობა, რომ საქართველო, თუკი გვინდა ჩვენი სახისა და პრესტიჟის გადარჩენა მსოფლიოს თვალში, რაც შეიძლება მკაფიოდ გამიჯნოს თავის პრეზიდენტს. ამ აზრისა ადრევე გახლდით, ჯერ კიდევ ორ სექტემბრამდე.

არანაკლები დეზინფორმაცია, რომლითაც უმასპინძლდებიან მოქალაქეებს ის არის, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის ღიარებას აფერხებს პირველ რიგში საქართველოში სტაბილურობის არარსებობა. უპირველეს ყოვლისა მას საქართველოში დემოკრატიის არარსებობა აფერხებს და, ალბათ, მართალნი არიან ის დასავლელი ჟურნალისტები და პოლიტიკოსები, რომლებიც ერთხმად ამბობენ, რომ სანამ ხელისუფლების სათავეში ის პიროვნებაა, რომელმაც საკუთარი სახელი დაუკავშირა დემოკრატიის დათრგუნვას, ჩვენ აღიარებას ვერ მივიღებთ.

**— რა მოხდება გამსახურდიას გადადგომის შემთხვევაში?**

— იმუშავებს პარლამენტი, რომელიც შორსაა სრულყოფილებისაგან, და ჩატარდება ახალი პარლამენტის არჩევნები. ეს მარტივი პასუხია. პრობლემები მის მიღმა ძევს. რას იტყვის ის უზარმაზარი მასა, რომელიც მას მხარს უჭერს დღეს. (ნაწილობრივ მაინც — ბრმად)? ხომ არ გაჩნდება ორი ალებული ბარიკადის ნაცვლად ოცდაორი და ათასორი ახალი ბარიკადი? თქმულიდან გამომდინარე, მე ვფიქრობ, რომ ყველა გადაწყვეტილება, თქვენს მიერ ნახსენების ჩათვლით, ძალიან მაღალი მორალური პრინციპებით უნდა მოხდეს. თუ პრეზიდენტი ასეთ გადაწყვეტილებას მიიღებს, იგი ისე უნდა გაკეთდეს, რომ მწვავედ უკმაყოფილო არავინ დარჩეს. ამიტომ მიმაჩნია, რომ საზოგადოების მოწოდებას პრეზიდენტისადმი მისი გადადგომის შესახებ ძალიან დიდი მორალური დატვირთვა აქვს.

**— რას იტყვით გვარდიის მოქმედებაზე და მთავრობის მიერ ამოძრავებული ძალების მოქმედებაზე?**

— გვარდია, საბედნიეროდ, დგას. მისი ბანაკში დაბრუნება რომ სასურველია, უკვე მოგახსენეთ. ისიც მოგახსენეთ, რა პირობებში უნდა მოხდეს, ჩემის აზრით, ეს. ტრაგედია, რომელიც ამ ორი დღის წინ დატრიალდა დიღომში, შემზარავია. იგი გამოძიებულ უნდა იქნეს ბოლომდე.

გვარდიის მოტივებზე ამომწურავად ვერ ვიმსჯელებ, ცხადია. რამდენადაც მე მესმის, არის ერთი ატიპიური გარემოება, რომელიც გვარდიის ატიპიური მოქმედების წყაროა: გვარდია შიშობს, რომ შესაძლოა ძალიან მაღალი წყაროდან წამოვიდეს იქეთი განკარგულებაც, რომელიც ჯანსაღი ადამიანური ცნობიერების ფარგლებს სცილდება.

მე პირადად, თუ რამ შემიძლია ამ ქვეყნად, მტკიცედ გადაწყვეტილი მაქვს ყოველივე ვიღონო იმისთვის, რომ დიდმასშტაბიანი ტრაგედია არ დატრიალდეს. ამა

(დასასრული მე-3 გვ.)

# პოლიტიკური პარტიების საკონსულტაციო საბჭოსთან არსებული პრესცენტრი იუწყება

## ტრაგედია „თელასთან“

25 სექტემბერს ღამით, დაახლოებით სამ საათზე, წერეთლის პროსპექტზე მოხდა ინციდენტი ეროვნული გვარდიისა და პრეზიდენტის მომხრე გვარდიის წარმომადგენლებს შორის.

გვარდიელ ზურაბ აფხაზავას ღამით მოულოდნელად დაეწყო შინაგანი სისხლისდენა და ამის გამო დასახმარებლად მოსული ცოლისა და ცოლისდის, აგრეთვე გვარდიელების რომან სომხიშვილისა და ზაზა სალუქვაძის თანხლებით მანქანით გაემართნენ რკინიგზის საავადმყოფოსაკენ, დიღომის მიმართულებით. წერეთლის პროსპექტზე მანქანა გაფუჭდა. სალუქვაძე იცნეს ყოფილმა თანამებრძოლებმა, პრეზიდენტის მომხრე გვარდიელებმა (ზუგდიდის ბატალიონის წევრებმა), რომლებიც საპატრულო მანქანით მიადგნენ და მათი დაპატიმრება განიზრახეს. ზაზა სალუქვაძემ მოახერხა და ამის თაობაზე აცნობა ეროვნული გვარდიის შტაბს. ინციდენტის ადგილზე გაიგზავნა ხუთი გვარდიელი. თელასის შენობაში, სადაც ზუგდიდის ბატალიონის გვარდიელებსა და ომონელებს უკვე დაეჭირათ მანქანაში მსხდომნი, მოვიდნენ მილიციის უფროსი და ერთი ოფიცერი. მათ ყველა ღონე იხმარეს, რომ სისხლისღვრა არ მომხდარიყო. მაგრამ თელასის შენობიდან „ომონელები“ არ ათავისუფლებდნენ შეპყრობილთ. დაიწყო ორმხრივი სროლა, სადაც დაიღუპნენ გოჩა სალუქვაძე — ზაზა სალუქვაძის ძმა, ორი „ომონელი“ და დაიჭრა სამი გვარდიელი.

მკითხველის ყურადღებას მივაპყრობთ იმ ფაქტს, რომ დიდუბის რაიონის თელასის საქალაქო განყოფილება წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ ადმინისტრაციულ შენობას. იქ არ გახლავთ დამონტაჟებული ისეთი პულტი, რომლითაც შეიძლებოდეს დენის მოწოდება ან გამორთვა ტელევიზიისათვის. ამდენად იგი არ წარმოადგენს რაიმე სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტს და ოფიციალური ხელისუფლების მიერ გავრცელებული დეზინფორმაცია, თითქოს ეროვნულ გვარდიას მოეწყოს თავდასხმა თელასის შენობაზე მისი ხელში ჩაგდების მიზნით, მტკნარი სიცრუეა.

ეროვნული გვარდიის ხელმძღვანელობა მტკიცე, კატეგორიულ პროტესტს გამოთქვამს დეზინფორმაციის გამო და მთელ პასუხისმგებლობას მომხდარი უბედურების გამო აკისრებს ოფიციალურ ხელისუფლებას, ამასთან მოითხოვს შეწყდეს პროვოკაციები ეროვნული გვარდიისა და მშვიდობიანი მომიტინგეების წინააღმდეგ.

26 სექტემბერი, 1991 წ.

## თავდასხმა შავნაბადაზე

25 სექტემბრის ღამეს „ომონელთა“ შეიარაღებული რაზმი თავს დაესხა ეროვნული გვარდიის სამხედრო ბანაკს შავნაბადაზე. მათ იხარგებლეს სიბნელით და შეეცადნენ სასაფლაოს მხრიდან გაერღვიათ თავდაცვის ხაზი.

საგუშაგოზე მდგარმა სამმა გვარდიელმა შეამჩნია ისინი და ნახევარი საათის განმავლობაში, სანამ მაშველი ძალა მოვიდოდა, შეძლო მათი შეკავება. ომონელები, რომელთა რიცხვი 150 კაცს აღემატებოდა, შეიარაღებული იყვნენ ზმის ჩამხშობის მქონე ავტომატებით.

სამსაათიანი ბრძოლის შემდეგ დაიჭრა ან დაიღუპა არანაკლებ 4 ომონელი. ეროვნული გვარდიის არც ერთი მებრძოლი არ დაჭრილა. ოფიციალური ხელისუფლება ჯიუტად ჩქმალავს ამ ფაქტს, რადგან მთლიანად მას ეკისრება პასუხისმგებლობა მომხდარ ინციდენტზე. საინტერესოა, რა პასუხს გასცემს ხელისუფლება დაზარალებულთა მშობლებს და ნათესავებს?

26 სექტემბერი, 1991 წ.

# სამშვიდობო ინიციატივა

ჩვენ, 1991 წლის 24 სექტემბერს **საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოში ხელისუფლების წარმომადგენლებთან შეხვედრაზე მოსული ოპოზიციის წარმომადგენლები**, ვთვლით, რომ შექმნილი მწვავე მდგომარეობის სტაბილიზაციისა, ძმათა შორის შესაძლებელი სისხლისღვრის თავიდან აცილების და სამოქალაქო მშვიდობის დამყარებისათვის აუცილებელია გადაიდგას შემდეგი ნაბიჯები:

1. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა ტელევიზიისა და პრესის მეშვეობით, დაუყოვნებლივ მოუწოდოს ორივე მხარეს მშვიდობისაკენ, საქართველოს სხვადასხვა რაიონებიდან ჩამოსულ მოსახლეობასა და ეროვნულ გვარდიას თბილისის დატოვებისაკენ. იმავდროულად დაიწყოს რუსთაველის პროსპექტზე დაბანაკებული ხალხისა და ეროვნული გვარდიის მიერ დედაქალაქის დატოვება.
2. განთავისუფლდნენ პოლიტპატიმრები, გაუქმდეს სანქციები ოპოზიციის წარმომადგენელთა დაპატიმრებაზე, გაკეთდეს შესაბამისი განცხადება პრეზიდენტის მიერ.
3. დაუყოვნებლივ განხორციელდეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა სრული თავისუფლება საქართველოს რესპუბლიკის შესაბამისი კანონის თანახმად, აღიარებულ იქნას ტელერადიო დეპარტამენტის შემოქმედებითი მუშაკების მიერ მიღებული გადაწყვეტილება.
4. უახლოეს მომავალში გაიმართოს საგანგებო სესია, რომელზეც გამოსვლის საშუალება მიეცემათ ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებს და რომლის პირდაპირი ტრანსლირება მოხდება საქართველოს ტელევიზიით.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ მხოლოდ ამ პირობების განხორციელების შემდეგ გახდება შესაძლებელი ჩვენში არსებული კრიზისის პოლიტიკურ სიბრტყეში გადატანა და მოლაპარაკების გამართვა ყველა არსებულ პოლიტიკურ ძალებს შორის.

ამასთანავე ჩვენ ვთვლით, რომ ოპოზიციურმა პოლიტიკურმა ძალებმა ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ არსებული წინააღმდეგობანი დაძლეულიყო მშვიდობიანი საშუალებით და მთელი პასუხისმგებლობა კონფლიქტის შემდგომ ესკალაციაზე და მოსალოდნელ გაუთვალისწინებელ შედეგებზე ეკისრება ხელისუფლებას.

**ნ. ნათაძე**
**ი. მელაშვილი**
**თ. დიხამინჯია**
**გ. ბერიშვილი**
**ე. შენგელაია**
**ზ. ჟვანია**
**ვ. მაზარაძე**
**თ. ფიფია**

შეთანხმებულია ეროვნული გვარდიის ხელმძღვანელობასთან

**თ. კიტოვანი.**

# პოლიტიკური პარტიების სამშვიდობო ინიციატივის პასუხად

საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლება დედაქალაქში შექმნილ ვითარებას აფასებს, როგორც უაღრესად დაძაბულსა და სახიფათოს.

ძმათა შორის სისხლისღვრის მოსალოდნელი ესკალაციის თავიდან აცილებისათვის საჭიროდ მიგვაჩნია უწინარეს ყოვლისა, სიმშვიდის აღდგენა.

აღნიშნული თვალსაზრისი მკაფიოდ არის გამოხატული რესპუბლიკის ხელისუფლების მიერ გაკეთებულ განცხადებაში, რომელიც გამოქვეყნდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 1991 წლის 25 სექტემბრის ნომერში.

ითვალისწინებს რა ქვეყნის წინაშე მდგომ ამოცანებს, კერძოდ, საქართველოს დამოუკიდებლობის საერთაშორისო აღიარებას, ეკონომიკური კრიზისის გაღრმავების საფრთხეს და აგრეთვე იმას, რომ ხელისუფლება მოვალეა უზრუნველყოს მოსახლეობის, მათ შორის, თვით ოპოზიციის უშიშროება, ხელისუფლებას მიაჩნია, რომ სავსებით შესაძლებელია მორიგება იმ საკითხებზე, რომელიც დაისვა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის რეზიდენციაში მხარეების შეხვედრის დროს.

საქართველოს დედაქალაქში შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობისა და მისი შედეგებისათვის უწინარეს ყოვლისა, პასუხისმგებლობა ეკისრება ოპოზიციურ ძალებს. ამასთანავე, რესპუბლიკის ხელისუფლება, რომელიც იზიარებს პასუხისმგებლობას საქართველოს დედაქალაქში რთული საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობისათვის, ოპოზიციის წარმომადგენელთა მიერ 1991 წლის 24 სექტემბერს წამოყენებულ წინადადებებთან დაკავშირებით საჭიროდ მიიჩნევს განაცხადოს შემდეგი:

1. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის პოზიცია ყოველთვის იყო და არის მიმართული სამოქალაქო თანხმობისა და ერის შეკავშირებისაკენ. ამიტომ არაფერი წინ არ დაუდგება მის ახალ სამშვიდობო მოწოდებას.

რაც შეეხება დედაქალაქში დაპირისპირებულ ძალთა დაშორიშორებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ნორმალური რიტმის აღდგენის საკითხებს, ისინი უნდა გადაწყდეს შეთანხმებული რეჟიმის მიხედვით, რის შესახებაც უფლებამოსილი წარმომადგენლები დაუყოვნებლივ უნდა შეუდგნენ მოლაპარაკებას. ამ პერიოდში არ უნდა იქნეს დაშვებული ურთიერთსაწინააღმდეგო მოქმედებები და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ფაქტები.

2. პატიმრობაში მყოფი პირების საკითხს გადაწყვეტს რესპუბლიკის პროკურორი კანონმდებლობის ნორმების მოთხოვნათა დაცვით.

3. ტელევიზიასთან დაკავშირებული ყველა საკითხი გადაწყდება პრემიერ-მინისტრის მიერ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რადიოტელევიზიის დეპარტამენტის მუშაკებთან კონსულტაციების გზით.

4. მხოლოდ ყველა ზემოაღნიშნული საკითხის მოგვარების შემდეგ, სამოქალაქო მშვიდობის პირობებში, ყოველგვარი დაძაბულობის ზემოქმედების გარეშე შეიძლება გაიმართოს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიის მორიგი სხდომა, რომლის დღის წესრიგისა და მიმდინარეობის წესის შესახებ წინადადებებს შეიმუშავებს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი საპარლამენტო ოპოზიციის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე**
**აკაკი ასათიანი**
**საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი**
**ბესარიონ გუგუშვილი**

## ხსნის ყველა გზა ადამიანის შეგნებაზე გაივლის

**(დასასრული)**

არა პაციფიზმით ვამბობ, არა ჰუმანიზმით, არც სისხლის წინაშე შიშით. ამას ვამბობ მარტივი ლოგიკით და გონიერებით. სამოქალაქო ომი სამოქალაქო პრობლემების გადაჭრის უკანასკნელი საშუალებაა. მის წინ სხვა საშუალებათა ძალიან მრავალრიცხოვანი არსენალი ძევს — მშვიდობიანისაც და კონფლიქტურისაც, დიდისაც და მცირესაც. ამ არსენალიდან, გარდა მიტინგობისა, პეტიციობისა, პროტესტობისა, შიმშილობისა, გაფიცვისა და არჩევნებისა ჯერ სხვა არაფერი გამოყენებულა. ეს ჩამონათვალი არ არის წვეთი ზღვაში, მაგრამ იგი მაინც მცირე ნაწილია იმ დიდ არსენალთან შედარებით.

ნურავინ შეეცდება და ნურავინ მიმართავს იმ უკანასკნელ, საბედისწერო საშუალებას მანამდე, სანამ ყველა სხვა საშუალება არ ამოუწურავს. პრაქტიკულად ეს, იმედია, იმას ნიშნავს, რომ სამოქალაქო ომი საქართველოში არ მოხდეს!

**— ბოლო კითხვა: რა გვეშველება?**

— ერთი გზა ისაა, რაც მოგახსენეთ: პარლამენტზე (ძველსა და ახალზე) უნდა გადავიდეს ძირითადი ტვირთი. პოლიტიკური ძალები მაქსიმალურად უნდა ჩაებან მართვისა და რეგულირების უშუალო პროცესში. მაგრამ ხაზს ვუსვამ: ხსნის ყველა გზა, რომელიც კი შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, ადამიანთა შეგნებაზე გაივლის. დღეს მოქალაქე კითხულობს: კი ბატონო, ზვიადმა არ გაამართლა, სხვას ვის ჩავაბაროთ საქართველო? ასეთი მოქალაქე სახელმწიფოს ვერ ააშენებს. მოქალაქე იმ სულისკვეთებით უნდა იყვეს, რომ არავის არაფერი არ უნდა ჩააბაროს. იგი თვითონ უნდა გეგმავდეს, თავისთვის, იმ კურსს, რომლითაც საქართველომ უნდა იაროს; თვითონ უნდა აძლევდეს ხმას იმას, ვინც ამ კურსის საიმედო გამტარებლად ეგულება, და თვითონ უნდა აკონტროლებდეს ამ კურსის სწორად გატარებას. ასეთი მოქალაქეა მხოლოდ მოქალაქე, ასეთ მოქალაქეთა საზოგადოებაა დემოკრატია და ასეთთა სახელმწიფოა სახელმწიფო. ესაა ჩვენი მომავალი. ჩვენ მას ვერ ავიცილებთ და ღმერთმა ნუ აგვაცილოს!

# მზად ვართ მოლაპარაკებისათვის

პოლიტიკური პარტიებისა და დეპუტატთა ჯგუფის 1991 წლის 24 სექტემბრის სამშვიდობო ინიციატივაზე პასუხი, ხელმოწერილი ბატონების აკ. ასათიანისა და ბ. გუგუშვილის მიერ, ოპოზიციურმა პარტიებმა მივიღეთ 1991 წლის 26 სექტემბერს 14 საათზე.

გატყობინებთ, რომ ამჟამად იქმნება ჯგუფები პასუხში ჩამოთვლილ ცალკეულ საკითხებზე მოლაპარაკების საწარმოებლად. მოლაპარაკება უნდა დაიწყოს დღესვე. მანამდე ყოველგვარი აქტიური მოქმედება დაპირისპირებულ მხარეთა მხრიდან დაუშვებლად მიგვაჩნია.

**პოლიტიკური პარტიების საკონსულტაციო საბჭო**
26 სექტემბერი, 1991 წ.



რუსთაველი გადაკეტილია. ოპოზიციის ბარიკადები შეცვალა სამთავრობო მოდერნიზებულმა ბარიკადებმა

# რა მოხდა ყოფილ „იმელთან“ და „იმელში“?

21 სექტემბერს დაახლოებით საღამოს 8 საათზე თბილისში, რუსთაველის გამზირზე, შემაძრწუნებელი ამბავი მოხდა. ბარიკადზე ავიდა ახალგაზრდა კაცი, ბენზინი გადაისხა და დაიწვა. ეს კაცი გახლდათ გია აბესაძე. მან საკუთარი სიცოცხლე მსხვერპლად გაიღო, რათა გონებადაბინდული და თვალებამღვრეული თანამემამულენი ოდნავ მაინც დაფიქრებულიყვნენ იმაზე, თუ რას სჩადიან, თავი დაიწვა, რათა ძმას ძმაზე აღმართული მახვილი ქარქაშში ჩაეგო. გია აბესაძის ალმოდებულ სხეულს დიდხანს უნდა ეწვა ქართველი კაცის სინდისი, მაგრამ არა, როგორც ჩანს, დღეს მხოლოდ კაენის სული ზეიმობს. არ გასულა რამდენიმე საათი ამ გამაოგნებელი ფაქტიდან და მთავრობის სახლის წინ მდგარი ხალხი (სხვათაშორის დეპუტატების წინამძღოლობით) „მტრის“ ჩასაქოლად დაიძრა. ჩვენის აზრით, არ იყო საჭირო ბარიკადების დამცველებს მედგრად დაეცვათ „თავისი ტერიტორია“. უმჯობესი იქნებოდა, სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობსო, — ამ პრინციპით ემოქმედათ, რადგან მომხდურნი ისევ ქართველები იყვნენ, ქართველის ქართველთან შერკინება არ ღირდა, უკანდახევა კი ამ შემთხვევაში ლაჩრობა კი არა, დიდი პასუხისმგებლობის გამოვლინება იქნებოდა, მაგრამ ვის უნდა მოეთხოვოს მაინც პასუხი, იმათ ვინც თავს ესხმოდნენ? მით უფრო, როცა ეს თავდასხმა აშკარად ხელისუფლებისგან გახლდათ ინსპირირებული.

ნათელში იყოს გია აბესაძის სული, კაცისა, რომლის თავგანწირვა ამაო აღმოჩნდა და რომლის გმირულ აქტზეც ისევ ხელისუფლება ახდენს სპეკულაციას.

გთავაზობთ 22 სექტემბრის ღამეს ყოფილ „იმელის“ შენობასთან დატრიალებული ამბების შემსწრის ბატონ თემურ ფიფიას მონათხრობს:

22 სექტემბრის ღამეს დაახლოებით 2 საათზე ტელევიზიასთან მოიტანეს ამბავი, რომ მთავრობის სასახლიდან დაძრული ხალხი მოადგა რუსთაველზე, „იმელის“ გასწვრივ აგებულ ბარიკადებს. ამან ერთგვარი შეშფოთება გამოიწვია იქ შეკრებილ ხალხში და რამდენიმე კაცმა. მათ შორის ლაშა თაბუკაშვილმა და მე გადავწყვიტეთ გაგვეგო სიმართლე და მოგვეტანა ობიექტური ინფორმაცია.

როცა მივედით „იმელთან“, ვნახეთ, რომ დაახლოებით 5—8 ათასი კაცი მოდგომოდა ბარიკადებს, რომელზედაც იდგა 120—150 ახალგაზრდა და ზემოდან გაცხარებული ელაპარაკებოდა გარსმოჯარულ მასას, რომელიც ინტერესით უსმენდა ბარიკადზე მდგომ ახალგაზრდებს. როგორც ჩანდა, მოსულ ადამიანებში ბევრმა ხეირიანად არ იცოდა, თუ რა ხდებოდა და სიმართლის გარკვევა სურდა. ორმხრივი საკმაოდ მშვიდი საუბარი დაახლოებით ერთ საათს გაგრძელდა, მაგრამ მალე მთავრობის სასახლის მხრიდან ბარიკადებს მოაყენეს მძიმე სატვირთო მანქანა და დაიწყეს მისი ნაწილ-ნაწილ აღება. ატყდა სტვენა, ხმაური, რის შემდეგ მანქანა უკან წავიდა. მაგრამ მალევე მობრუნდა. მოსული ხალხი გააქტიურდა და გააგრძელა ბარიკადების დაშლა. როცა ისინი დაეჭიდნენ მილებს, რითაც ბარიკადი იყო გამაგრებული, მილზე შემდაგი რამდენიმე ახალგაზრდა, გადმოვარდა და დაშავდა. ამან გამოიწვია ხალხის აღელვება და ორივე მხრიდან ატყდა ჯოხებით ურთიერთცემა, შემდეგ ქვების „არტილერია“. ბარიკადზე მდგომებმა კარგად გამოიყენეს სახანძრო მილები და წყლის ჭავლი მიუშვეს მოჯარულ მასას. ბარიკადის ასაღებად მოსულმა რამდენიმე ათასმა კაცმა უკან დაიხია. უნდა ითქვას, რომ წყალმა საკმაოდ დამამშვიდებლად იმოქმედა და ამას ბარიკადებზე მდგომი ახალგაზრდების მხიარული შეძახილები მოჰყა. ამ დროს მასის უკან გამოჩნდა კარგად ორგანიზებული, ფიზიკურად ძლიერი მამაკაცების დაახლოებით სამასკაციანი ჯგუფი, რომელმაც გააფთრებით მიიტანა იერიში ბარიკადებზე. მათი მხრიდან (სიღრმიდან) ჩვენს მიმართულებით ისროლეს პეტარდები (მაშხალები), რამაც დააფრთხო ბარიკადზე მდგომნი. ამავე დროს „იმელის“ წინ შიშინით სკდებოდა ცრემლსადენი გაზები. ბარიკადზე მდგომნი უკუიქცნენ, დიდი ნაწილი გაიქცა რუსთაველის მოედნისაკენ და მათ ყიჟინით მისდევდა გულმოცემული ბრბო, ხოლო ნაწილმა, ძირითადად ქალებმა და სულ ათიოდე მამაკაცმა, თავი შევაფარეთ „იმელის“ შენობას. დამოუკიდებლობის პარტიის წევრი, ედიშერაშვილი, მეტსახელად „ქიზიყელი“, ბოლო წუთამდე ასხამდა წყალს მომხდურებს და მარტომ შეძლო „იმელის“ მხარეს მათი შეკავება. მას მოუარეს უკნიდან და დაუშინეს ქვები, რის შემდეგ იგი დავარდა. მას მისცვივდნენ და დაუწყეს ჩაქოლვა და მერე მასზე არაფერი ვიცი. შენობაში შესვლისას გვესროდნენ ქვებს, ჯოხებს, იყო სროლის ხმაც. როცა შენობაში შევედით, შევეცადე დამეხურა შესასვლელი კარები, მაგრამ ხელკეტის მძიმე დარტყმით გარედან ამის საშუალება არ მომცეს. მე კარგად მახსოვდა, თუ როგორ ვერ შემობედეს 9 აპრილის ღამეს ჯარისკაცებმა კინოთეატრ „რუსთაველში“, სადაც სიბნელე იყო და სასწრაფოდ მთელ შენობაში ჩავაქრეთ, რამაც, მართლაც ცოტა ხნით შეაკავა თავდამსხმელები. გარედან შენობას მასირებულად უშენდნენ ქვებს, რის შედეგად ჩაიმსხვრა ყველა ფანჯარა. ბოლოს შენობაში შემოიჭრა გაშმაგებული ბრბო, რომელმაც დაიწყო ნადირობა შიგნით მყოფ ადამიანებზე. ბრბოს გაშმაგება შესანიშნავად არის აღწერილი რომანში „დათა თუთაშხია“ და ჩვენ მოგვიწია მთელი ამ საშინელების რეალურად გადატანა. ეგზალტირებული, ჭკუაზეგადასული ბრბო ამსხვრევდა ყველაფერს, თვით მარმარილოს კიბეებსაც კი. ამ დროს პირველ სართულზე ატყდა დიდი ჩხუბი, როგორც აღმოჩნდა, თავდამსხმელებმა სიბნელეში ვერ იცნეს ერთმანეთი. და ერთმანეთს დასცხეს.

ამან ჩვენ საშუალება მოგვცა ავსულიყავით მესამე სართულზე და დავიწყეთ ქალების ოთახებში გადამალვა. მაგრამ ბრბო ამოვარდა ზემოთაც და გარს შემოგვერტყა. სათითაოდ დაჭერილ ადამიანებს სასტიკად სცემდნენ, აჩოქებდნენ, სადისტურად აწამებდნენ [illegible] თავს არტყმევინებდნენ. მე შემომეხვია მთვრალი ადამიანების ჯგუფი, რომლებიც ლუღლუღით ჩემთვის გაუგებარ კუთხურ ენაზე რაღაცას მოითხოვდნენ. შემდეგ მე და ერთი ჩემთან მყოფი ცემა-ცემით მიგვიყვანეს ფანჯარასთან, მაგრამ ქალებმა მორთეს საშინელი კივილი და ბრბო შედრკა. ამ დროს კუთხეში ატყდა ჩხუბი და ყველანი იქით გაქანდნენ. ჩვენ მოვახერხეთ ქალების შეყვანა დიდ დარბაზში და მათი დამალვა. გარედან კვლავ ისმოდა მსხვრევის ხმა და „ზვიადი, ზვიადი“-ს ყვირილი. ისმოდა აგრეთვე გაცოფებული ქალების წივილი, რომლებიც ოთახებში დაეძებდნენ ირაკლი წერეთელს, წყევლა-კრულვას უთვლიდნენ და პირდებოდნენ შამფურზე აგებას.

უკვე თენდებოდა, როცა დარბაზშიც შემოიჭრა ბრბო. ერთ-ერთმა ხელი მოჰკიდა სცენაზე მდგომ დიდ ჯვარს და მოინდომა მისი დამსხვრევა. მაგრამ მას უყვირეს და აალებინეს ხელი ამ განზრახვაზე. გაგვიყვანეს დერეფანში, ჩემთან მოვიდა ორი ახალგაზრდა და ერთ-ერთმა მითხრა, რომ გავყოლოდი მას და გამიყვანდა სამშვიდობოს. სხვა გამოსავალი არ იყო. იავარქმნილი შენობა საშინელი სანახავი იყო. ახალგაზრდამ, რომელსაც გავყავდი გარეთ, მითხრა, რომ იგი არის ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი ჯაბა გუმბერიძე და რომ მან ჩემსავით ბევრი გაიყვანა გარეთ, რადგან აქ ყველანი ქართველები ვართო.

შესაძლოა, ასეთი საქციელი ერთადერთი ნათელი წერტილი იყო 22 სექტემბრის სამარცხვინო და საზარელ ღამეს.

**თემურ ფიფია.**

# გამოფხიზლდით, ძმებო!

(მიმართვა ჩემს თანაქალაქელებს)

...თურმე ამასაც მოვესწარით! თურმე ქართველი ერის ორასწლიან ბრძოლას თავისუფლებისათვის — სისხლით უნდა დაუსვან წერტილი! თავისუფლებას ვინ ჩივის, როცა მას, ბატონ პრეზიდენტს სურს სამასი წლით დაგვწიოს უკან! ქალაქი ქალაქს, კუთხე — კუთხეს, ამერ-იმერი ერთმანეთს შეაჯახოს და ამით საბოლოოდ ჩაგვცეს გულში მახვილი!

და აი, ამ დროს მოგმართავთ თქვენ, გაბრიყვებულო დებო და ძმებო, ჩემო ზუგდიდლებო! თქვენ, თქვენ, ვინც ვითომ პრეზიდენტის საშველად ჩამოუყვანიხართ (დიახ, ჩამოუყვანიხართ!) და მას იცავთ! მე მტკივა, მე ჭირისოფლი მასხამს თქვენს გამო და... თუკი კვლავ წუზანდელივით გადმოდგამთ ნაბიჯს ჩვენს დასარბევად, სისხლის დასაქცევად (რომლის სუნიც უკვე ტრიალებს ჰაერში!), მაშინ, გთხოვთ, პირველი მე ამომიღოთ მიზანში, მერე ათასობით თბილისში მცხოვრები თქვენი თანაქალაქელის — შენგელაიების, ჯგუბურიების, თითმერიების, ფიფიების, დანელიების, ჯიქიების, ანთელავების, კვარაცხელიების, ლვინჯილიების, ხულორდავების... სხვებისა და სხვების განაჩენის გამოტანა არ დაგავიწყდეთ!

დიახ, ეს ქალაქი, ყოგორც ყველა ჭეშმარიტ თბილისელს, ისე თქვენც გეკუთვნით! თბილისი ერთიანი საქართველოს მაჯისცემაა, სინდისია, გულია,.... და ვაი, იმ პრეზიდენტს, როცა მილიონნახევრიან მშობლიურ ქალაქში სამი ათასამდე მხარდამჭერ კაცს ველარ პოულობს! და თქვენ, ახე სამარცხვინოდ მოტყუებულო დებო და ძმებო, ჩამოხვედით აქ, ვითომ დედაქალაქის „დასალაგებლად!“ (არადა, ვის როგორ აუხსნა, როგორ დავარწმუნო გაოგნებული თბილისელები, რომ არც ერთი ჭეშმარიტი ზუგდიდელი მათში არ ერია!) ან, თუ ახე გეწვით გულ-მუცელი „ჭეშმარიტებისათვის“, თავად ზუგდიდისათვის მიგვეხედა! როგორც თქვენ, ისე მეც ხომ ვიცი, რაც ხდება ქალაქში! ქალაქის პრეფექტურაში ანაშის სუნი ტრიალებს!... რომ უწიგნურთა, მზესუმზირაჭამიათა, უჭიცთა (რაც არაერთხელ განვაცხადე ოფიციალურად) ბანდა დაეპატრონა ქალაქს და, ვაი თქვენი და ჩვენი ბრალი, თუ დროზე არ მოვიცილეთ ისინი!

გაოგნებული /ვარ, ვერაფრით ვერ ამიხსნია, როცა პრეზიდენტმა თქვენი ძმებისა და შვილების სრული განადგურებისაკენ ტელევიზიით მოგიწოდათ, ერთი წუთით მაინც არ ჩაფიქრდით? სული არ აგეწვათ?! პრეზიდენტი, რომელიც თურქეთიდან, ჩეჩნეთიდან „მაშველ ჯარს“ თავისი ხალხის გასაჟუჟად ელოდება! როგორ დავიჯერო, იმისი სურვილი ერთხელ მაინც არ გაგიჩნდათ, როცა მთავრობის სახლის წინ გამართული შოუ-კონცერტი ნახეთ, ორიოდე ნაბიჯი ბარიკად-გადმოლმაც გადმოგედგათ! გონიერი მეგრელი კაცი შვილის მკვლელზეც ისე არ აღმართავს მახვილს, თუ ვინ მტყუანი იყო, ვინ— მართალი, იმაში არ გაერკვა. ნუთუ თქვენ გჯერათ, რომ 2 სექტემბერს ჰაერში ნასროლ ტყვიას მომიტინგესათვის შეეძლო მუხლის ძვალი გაეჩვრიტა!... ისე, იმ თქვენმა პრეზიდენტმა მოსალოდნელია განგიცხადოთ — ჰაერში მფრინავი მომიტინგეებიც ჰყავს ქანტურიასო!

მე ყოველთვის მეამაყებოდა და მეამაყება ჩემი ზუგდიდლობა, სამეგრელოს შვილობა! თქვენს გაუცნობიერებელ შეცდომა-საქციელსაც მე, ჩვენ, ყველა აქ მდგომი, გონიერი საქართველო გაიგებს და აიტანს, ოღონდ თქვენ მოდით გონს, მოტყუებულო დებო და ძმებო, ჩემო ზუგდიდელ-არაზუგდიდელებო! ვინაიდან ჭეშმარიტი ზუგდიდი, საერთოდ, სამეგრელო, ის საქართველოა, ერის ერთიანობა და ერთგულება ძვალ-რბილში რომ აქვს გამჯდარი! ეს ერთგულება ჯერ კიდევ ფარნავაზს ქუჯიმ დაუმტკიცა! ეს თავდადება ბაგრატ III-ს აგრძნობინა სამეგრელომ!...

ჭყონდიდელიდან მოდის იგი, ცოტნედან მოდის... ამიტომ ვიტოვებ იმედს... იმედს კი არა, მწამს, რომ მეგრელი კაცის ქართულ გენს, გონიერ სამეგრელოს, მის წმინდა აუმღვრეველ სისხლსა და ჯილაგს არც ერთხელ — საქართველოს ავბედით დროს, ერთიანი ეროვნული ნერვის დაწყვეტა-დაქსაქსვის ჟამსაც კი მიხვალი არ შეშლია და დღეს რა ღმერთი გაგვიწყრება!

ძირს დიქტატურა!!!

გამოფხიზლდით!... გამოფხიზლდით, ძმებო ზუგდიდელებო, ქუთაისლებო, გურჯაანელნო, ხაშურლებო, ხობელებო, მესტიელებო... ერთიანო საქართველოვ!

ზაურ კალანდია

1991 წ. 22 სექტემბერი



ვაი, ჩვენო ქართლის ბედო...





# პუტჩისტური კაპრიჩიო, ანუ

## პოლიტიკური პამფლეტი მეხისმტყორცნელ დიაცთა, უდავო ინტელექტუალთა და სხვათა გამო

**ამხანაგო რეზიდენტო!**

**მოგახსენებთ, რომ აგენტი „გრ-666" კვლავინდებურად ბრძოლის წინა ხაზზეა.**

**იმასაც დაბეჯითებით მოგახსენებთ, რომ თანახმად თქვენი ამასწინანდელი საიდუმლო დავალებისა, ბარიკადების აღების მეორე დღეს ვიმყოფებოდი მთავრობის სასახლისწინა მოედანზე გამართულ მიტინგზე და დავაფიქსირე იქ მყოფთა განწყობილება, რასაც წარმოგიდგენთ არა მოხსენებითი ბარათის მშრალი საოქმო ენით, ფორმითა თუ სტილით, არამედ სწორედ ისე, როგორც მე ვთვლი საჭიროდ. დიახ!**

**ეცადეთ, ჩემს მიერ მოწვდილი საიდუმლო მასალა, ხელთ არ ჩაუვარდეს გაზეთ „საქართველოს" აგენტურას, თორემ მთელს ქვეყანას მოჰფენენ!**

### 1. მეხისმტყორცნელი ზევსი დიაცის კოსტიუმში

შუადღეა. მთავრობის სასახლის ჩრდილი შუა პროსპექტამდეა გამოსული. მიტინგი მიმდინარეობს. ჩრდილს აქეთაც დგანან მოქალაქეები, მაგრამ ტროტუარამდე კანტი-კუნტადღა არიან.

იმ ავტობუსის მახლობლად, რომელზეც ხმის გამაძლიერებელი რეპროდუქტორებია დამონტაჟებული, მძვინვარე სახის ქალბატონები დგანან და ეტყობა რაღაც მწვავე, ფრიად საჭირბოროტო პრობლემაზე საუბრობენ, ისე არიან გაცხარებულნი.

— მეხი კი დავაყარე ირაკლი წერეთელს! პატრონი არ ჰყავს მაგ უბედურს?!

— წუხელ ფანჯრიდან გადმომხტარა ეგ ხულიგანი, ორივე ფეხი მოტეხილი აქვს!

— ამათ ვენაცვალე, ამათ, კარგად დაუჟეჟეს მაგისი ლოთი ამფსონები!

— გაიგე, ქალო! მაგის სახლში ყოფილან ჩვენი ქალები, რომ ყველაფერი დაედგინათ.

— მერე, მერე!

— სამჯერ ტვინის ანთება გადაუტანია!

— იმიტომაა, რომ ხან აქეთაა და ხან იქით.

— ეგ ამბავი მე მკითხეთ, მეც იქ ვიყავი. მეზობლები ისე ახასიათებენ, მაგის მშობელი რომ ვიყო, ერთი წუთითაც არ ვიცოცხლებდი თავს!

— რა უნდა მაგ მეხდასაცემს პოლიტიკაში, მეზობლებს მიხედოს!

— ხომ ამოვიდნენ ჭანტურიას სახლში! მაგასაც მოუვლიან!

ამ დროს მიკროფონიდან კითხულობენ რომელიღაც ბაგა-ბაღის აღსაზრდელების წერილს ნოდარ ნათაძისადმი, სადაც პატარები საყვედურობენ ძია ნოდარს, რომ არსებული პოლიტიკური კონფრონტაციის პირობებში, როცა იქმნება ძმათამკვლელი სამოქალაქო ომის საფრთხე, რატომ გადაუდგა ბატონ პრეზიდენტს და რატომ მიემხრო პუტჩისტებს, კრემლის აგენტებს და მოღალატეებს.

— მეხი დავაყარე, ეგეც მოღალატე ყოფილა!

— მე ეგ ისედაც ვიცოდი! იმ გაზეთში არ იყო, ჩვენ რომ დაგვხატეს?

— რომელია ის გაზეთი?

— „საქართველო"!

— რა სახელს აფუჭებენ ეგ გათახსირებულები!

— გვიკიჟინებენ, ქალებს პოლიტიკაში რა გინდათ, დაჯექით სახლში. მარგარიტ ტეტჩერი სახლში რომ დამჯდარიყო, გახდებოდა ინგლისის პრემიერ-მინისტრი?!

— მარგარეტ ტეტჩერი რად გინდა, თამარ მეფე ქალი არ იყო?!

### 2. რაიონებიდან ჩამოსული მომიტინგენი

მიკროფონში გამოაცხადეს, რომ პრეზიდენტს უცხოელებთან ჰქონდა შეხვედრა და ცოტა ხნით დატოვებდა მიტინგს.

ბატონმა პრეზიდენტმა თავი დაუკრა მომიტინგეებს და სასახლეში ამავალ კიბეზე მიიმალა თუ არა, კარავთა მახლობლად შეჯგუფული ხალხიდან გუნდ-გუნდად დაიძრნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან ჩამოსულნი და ზოგმა მხატვრის სახლს მიაშურა, ზოგმა კი თავ-თავიანთ ავტობუსებს.

— ესენი პრეზიდენტის საყურებლად ჩამოვიდნენ მხოლოდ! — ჩამჩურჩულა ერთმა შლაპიანმა, — შეხედე, შეხედე, პროვინციალიზმის დაღი აღბეჭდიათ სახეებზე! არა, თქვენ არ გეგონოთ, სოფლელებს ვერ ვიტანდე! მე გურიაში გლეხები მყავს ნანახი, ისე დაგელაპარაკებიან, კაი განათლებული ინტელიგენტი მიიმქარავს იმათთან!

### 3. ერთი, მომიკიდე, ძამა!

— ...აი, მაგალითად, ძამა, ჩვენზე რომ ლაპარაკობენ, სოფლებიდან ჩამოყვანილი, პრეფექტების შეგროვილი ჯოგიაო, მართალია ეს? სოფლელი კაცი რა, არ არის ქართველი მამულიშვილი? ჯოგი და ნახირი კვარაცხელიასი გამიგონია მე, თვარა პატიოსანმა ქართველმა როგორ უნდა იკადროს ეს, შენს თანამოძმეს ბოდიში და, ძროხა და საქონელი რომ უწოდო! განხეთქილება ითესება ერში ამით, ასე მწამს მე.

— არადა, ისინი აქეთ, ჩვენს ზვიადს აბრალებენ ამ განხეთქილების ჩამოგდებას!

— ერთი, მომიკიდე, ძამა და გეტყვი აგერ! რა გგონია, ძამა, პროვინციებში არაა ინტელიგენცია? აგერ არა ვარ ინტელიგენტი მაგალითად? ფუნდამენტური სამედიცინო განათლება მაქვს, მთავარი პროვიზორი ვარ რაიონში და ამას გარდა, ისეთი რამეები ვიცი, აზრზე რომ არ არის ზოგიერთი ელიტარული ინტელიგენციის წარმომადგენელი, გვარებს აღარ დავასახელებ, რაღა თქმა უნდა... ვიცით ყველამ და იმიტომ. ჩვენს ზვიადს ზვიად ალმაშენებელი რომ დაუძახეს ამასწინათ მიტინგზე, რა, არაა მართალი თუ? ხომ წურთნა დავით ალმაშენებელმა ურჩი ფეოდალები — ლიპარიტ ბაღვაში, შალიმან ბარათაშვილი, რატი ორბელიანი და სხვები, ძაგანი და ალსართანი კიდევ. და ხომ იყვნენ ნამდვილად ურჩნი, ხომ უპირისპირდებოდნენ ნამდვილად დიდ დავითს, ხომ იყვნენ მაგენი სამშობლოს მოღალატენი, პირად კეთილდღეობას რომ ანაცვალებდნენ სამშობლოს უზენაეს ინტერესებს. და როგორ გგონია შენ, ვინ არიან დღევანდელი პუტჩისტები — კიტოვანი, სიგუა, ნათაძე, შენგელია, წერეთელი, ჭანტურია და ძმანი მათნი? ისტორია მეორდება, ძამა! სწორედ იმ ურჩი ფეოდალებივით უნდა წურთნოს დღევანდელი პუტჩისტები ჩვენმა ზვიადმა... ჩამქრობია ისევ ეს დასაწვავი „მტკვარი" და თუ არ შეგაწუხებ ნამეტანს, ერთი კიდევ მომიკიდე, ძამა!

### ვ. ჩაუშესკუ

— თერჯოლელი ხომ არ ხარ შენ?

— არა, აქაური ვარ.

— გადარეული დავიარები...

— რა მოგივიდა?

— ისე ვარ გამწარებული, მოვკლავ ნამდვილად, თერჯოლელი რომ ჩამივარდეს ხელში!

— რა დაგიშავეს?

— მთელი თერჯოლის რაიონის პატრიოტები შევრცხვით რესპუბლიკური მასშტაბით.

— როგორ?

— ექვსი ავტობუსი ხალხი წამოიყვანეს თერჯოლიდან და რაკი „ივერიის" წინ ბევრი ხალხი დაინახეს, იქ ჩამოსხდნენ. ის მოღალატე-პუტჩისტი სიგუა გამოდიოდა სიტყვით და კაციშვილმა ვერ იცნო. ახსენა სიგუამ ჩაუშესკუ — ჩვენი პრეზიდენტის მისამართით. „ჩაუშესკუ! ჩაუშესკუ!" — დაიძახეს მომიტინგეებმა და არ აყვნენ ჩვენებურებიც?! ჩაუშესკუ, ჩაუშესკუო, კაი ხანს რომ იძახეს, მერე იკითხეს, ვინაა ეს ჩაუშესკუო. როცა აუხსნეს, მერეღა მიხვდნენ, აქ ჩვენი ადგილი არააო და ამის მერეღა ჩამოიყვანეს ავტობუსები მთავრობის სასახლის წინ. მოკლედ, რაღა ბევრი გავაგრძელო, სადაც თერჯოლელს ვნახავ, მიტინგს არ ჩავშლი, გავიყვან სადმე ბაღში და ვაჩვენებ ჩაუშესკუს!

### 4. მეამბოხეთა განადგურების პროექტი

— შეხედე, ჯიგარო, რა ხდება! ხომ მოგროვდნენ ერთ სოროში ყველანი!

— ვისზე ამბობ? — ეკითხება შემოსწრებული.

— შენ თვითონ ვისკენ ხარ, მეგობარო?

— მე თქვენიანი ვარ. ქალაქელი კაცი ვარ და...

— ვინც სოფლელები ცუდად ახსენოს, მე იმისი ძალიან კეთილები...

— შენ რაღაც სხვანაირად გაიგე, ძმაო! მე სოფლელებზე არაფერი მითქვამს.

— პროვოკატორი ხარ, ვიღაცა ხარ, დაიკარგე აქედან!

— მე თქვენიანი ვარ მეთქი, ძმებო. გვარდიიდან გამოვექეცი კიტოვანს!

— შენ ვის ატყუებ! წადი, სანამ კბილები ჩამომიღია!

— ჰოდა, იმას ვამბობდი.ხომ მოექცნენ ტელევიზიაში პუტჩისტები. იქ რა ხდება, იცით? იარაღით დადიან მიტინგზე. და ეს ხომ არის გადაღებული? არის! ესე იგი, შენ უკვე დოკუმენტი გაქვს, რომ ნამდვილად ამბოხებას აპირებდნენ. ჰოდა, აქედან წავა, ტო, ჩვენი კოხტად ჩაცმული სამასიოდე კაცი და იარაღი ტანსაცმლის ქვეშ ექნებათ დამალული. უცებ აიღებენ ტელევიზიას.

— როგორ აიღებენ?

— ეს რა შეკითხვაა, შენც პროვოკატორი ხომ არა ხარ?

— რა პროვოკატორი, გუშინ ბარიკადების აღებისას პირველი მივდიოდი.

— მოკლედ, თითო ჩვენიანი თითო იმათსას ხომ შებოჭავს!

— მერე მაგით რა გამოვა, შენობაშიც ხომ არიან კიდევ. გვესვრიან და სისხლი დაიღვრება.

— არა, ძმაო, ეგეთი საქმე უსისხლოდ არ გამოვა! იმათ მოლაპარაკება არ უნდათ. სიგუა მთავრობაში დააბრუნეო და, ჭანტურია და ხაინდრავა გაანთავისუფლეო. თუ გაანთავისუფლე, ხომ ისევ თავიდან დაიწყება ეს ამბავი, ყოველ სამ თვეში აქ ხომ არ ვივლით.

— წუხელ, წერეთლის ბარიკადებიც რომ ავიღეთ, მაშინვე უნდა წავსულიყავით ტელევიზიაში, სანამ კიტოვანის ხალხი შეგვასწრებდა. აი, ის მომენტი არ უნდა გაგვეშვა ხელიდან!

— არა, წასვლა არ შეიძლებოდა, გვარდიელები უკვე იქ იყვნენ!

— მოკლედ, ყველაზე ნაღდია ამაღამვე ბოლო მოვუღოთ მაგათ!

— კარგი აზრია, მაგრამ ვნახოთ, მიტინგზე რას იტყვიან.

### 5. კაცი არა ხარ, კაცო!

ავტობუსის ორივე კარი ღიაა. შიგ საქართველოს რომელიღაც კუთხიდან ჩამოსულნი არიან — ერთნი ჭამენ, მეორენი კი თვლემენ. დგას ავტობუსთან [illegible] ცებული კაცი და ლ[illegible] ქილი ხმით ამტკიცებს:

— უნდა გამოვფხიზლდეთ, ქართველებო! მოღალატეს მოღალატე ვუწოდოთ და დავარქვათ! პუტჩისტს — პუტჩისტი! აგენტს — აგენტი! იქამდე მიგვიყვანეს, იძულებულები ვართ, წავიდეთ, სისხლი დავღვაროთ და ისე ავიღოთ ეს ოხერი ტელევიზია და რათა, კაცო, ჩემს მოძმეს რათ მაკვლევინებ, კაცი არა ხარ, კაცოუ! გაჩერდი, მაისვენე და მეც დამასვენე რა! მე გუშინვე მივდიოდი ასაღებად, მაგრამ გამაჩერეს, იქ იარაღიანი პუტჩისტები არიანო. პუტჩისტი და ხულიგანი მე არ ვიცი! წამოდით, წამოდით ხალხო, წავიდეთ ეხლავე! ახლა არ დამიწყოთ, პროვოკატორი ხარო! მოვითავებ ამ საქმესა და წავალ ბარემ სახლში, ხილის არაყი მაქ გამოსახდელი... თან ერთი კარგადაც დავლევ! რატო? რატო არ უნდა დავლიო ჩვენი პრეზიდენტის სადღეგრძელო! დამოუკიდებლობა რო უნდა ზვიადსა და მშვიდობა რო უნდა ხალხსა, ხო უნდა დამშვიდდეს. აღარ უნდა მაისვენონ ამ მოღალატეებმა? კარგი, გაჩერდი, კაცი არა ხარ, კაცოუ!

### 6. შენ ხარ ჩემი ბატონი!

— წადი რა, თავი დამანებე!

— მე შენ გეუბნები, ეგ ნათქვამი პროვოკატორისაა!

— მე ვარ პროვოკატორი? მე იმას ვამბობ, მითქვია და ვიტყვი, შენ ხარ ჩემი ბატონი, რომ პუტჩისტებს ჩვენი პრეზიდენტისა შურთ. მთელი ოცი წელიწადი კაცმა ქვეყნის სამსახურში გაატარა, შენ ხარ ჩემი ბატონი, მაშინ სად იყვნენ ეგ ეგრეთწოდებული ოპოზიციონერები, ახლა რომ გამოიდეს თავი! მაგრამ ვერა, ვერ აჯობებენ! ჩვენი ზვიადი იმხელა კაცია, შენ ხარ ჩემი ბატონი, უშველებელი ამერიკის ქვეყნის პრეზიდენტს ეკამათება და ისე აკრიტიკებს, ისე, რომ იმას სირცხვილით თავი ვერსად გამოუყვია, შენ ხარ ჩემი ბატონი.

**P. S. ამ დროს ავტობუსთან შეჯგუფებული ქალბატონები წყევლა-კრულვითა და ვაი-ვიშით მიესივნენ ერთ ჩემნაირ აგენტს და რაკი ჩემი იქ დარჩენა არცთუ უხიფათო იყო, სასწრაფოდ დავტოვე მთავრობის სასახლისწინა მოედანი.**

აგენტი „გრ-666".



ეს საიდუმლო მასალა მოიპოვა **მიხო მოსულიშვილმა.**

# პრეფექტმა უარი განაცხადა

**დღეს, როცა ვნებათაღელვამ უკიდურეს ზღვარს მიაღწია და უკვე რეალურად გვემუქრება სამოქალაქო ომის საფრთხე, სასიხარულოა, რომ [illegible]ლისუფლების ადგილობრივ ორგანოებშიც აღმოჩნდნენ საღი გონების, [illegible]ინდული სულის ადამიანები, რომ[illegible]ლთაც უარი თქვეს რაიონებიდან [illegible]დაქალაქში ხალხის მასობრივად [illegible]მოყვანაზე და წინასწარ განჭვრი[illegible] ის სავალალო შედეგები, რაც [illegible]ძლება მოჰყვეს ამ, მართლაც დაუ[illegible]ფიქრებელ ნაბიჯს.**

**[illegible]ქვემოთ გთავაზობთ თიანეთის რა[illegible]ნის პრეფექტის ნუგზარ ჩაჩა[illegible] და მისი პირველი მოადგილის [illegible] მეჭიაურის მიმართვას რა[illegible]ნის მოსახლეობისადმი, რომელიც წაკითხულ იქნა 1991 წლის 28 სექტემბერს გამართულ მიტინგზე.**

საქართველოში გეომეტრიული პროგრესით იზრდება „ერის მოღალატეებისა" და „კრემლის აგენტების" რიცხვი. ამ განცხადების გაკეთების შემდეგ შეიძლება მეც მათ მიმათვალოთ, მაგრამ მე მაინც უნდა გითხრათ ის, რასაც ვფიქრობ, ვინაიდან უზნეობით სკამის შენარჩუნება უფრო დიდ ღალატად მიმაჩნია.

მიუხედავად იმისა, რომ სრულიად საქართველოს პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მოუწოდა როგორც ოფიციალურ ხელისუფლებას, ისევე ოპოზიციურ პარტიებს, მთელ ქართველ ხალხს, ურთიერთშერიგებისაკენ, არც ერთი მხრიდან რაიმე მნიშვნელოვანი ღონისძიება ეროვნული თანხმობის მისაღწევად დღემდე გატარებული არ ყოფილა. პირიქით, კონფრონტაციამ კულმინაციურ წერტილს მიაღწია. პრაქტიკულად სამოქალაქო ომის ზღვარზე ვიმყოფებით. სავალალოა ის ფაქტი, რომ სოფელი დაუპირისპირდა ქალაქს, რისმა უარყოფითმა შედეგებმა შეიძლება დიდხანს იჩინოს თავი.

საქართველოს მხოლოდ ეროვნული თანხმობის მიღწევა გადაარჩენს.

ეროვნული თანხმობა არ მიიღწევა რესპუბლიკის მთელს მოსახლეობაში კონფრონტაციის შემდეგი ზრდით. ამიტომ საჭიროა [illegible] ჩნია რაიონის მოსახლეობის [illegible] ყენება თავისსავე თანამოძმეებზე ანგარიშსწორებისათვის. წესრიგი [illegible] ჩაში უნდა დაიცვას მილიციამ [illegible] ამისათვის მოწოდებულმა ორგანოებმა და არა სხვადასხვა რაიონებიდან სტიქიურად ჩასულმა მოქალაქეებმა.

მოგიწოდებთ, ჩვენი რაიონის მაგალითზე აჩვენოთ მთელს საქართველოს, თუ როგორ უნდა გაჭირვების დროს ურთიერთთანადგომა, ურთიერთმიტევება და ურთიერთპატივისცემა. მთელმა რაიონმა უარი ვთქვათ ძმათა სისხლის ღვრაში მონაწილეობაზე და იგივე მოვუწოდოთ სხვა რაიონებსაც.

# რა მოხდა აჭარაში?

**მიხეილ მახარაძე**

დაიწყო რა მზადება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნებისათვის, გამოქვეყნდა საარჩევნო კანონის ალტერნატიული პროექტები. მოხდა ამ პროექტების განხილვები პრესაში, გამოითქვა არსებითი თუ არაარსებითი ხასიათის შენიშვნები, რის შემდეგაც 1991 წლის 3-4 იანვარს ჩატარდა აჭარის უზენაესი საბჭოს სესია, რომელზედაც ყოველგვარი გართულების გარეშე საარჩევნო კანონის პროექტი კანონად დაამტკიცეს. დაინიშნა არჩევნების დღეც — 1991 წლის 3 მარტი.

თითქოსდა ყველაფერი თავის ადგილზე იყო და აჭარის უზენაესი საბჭოს არჩევნების ჩატარებას დანიშნულ დროზე წინ არაფერი ეღობებოდა. მაგრამ გავიდა ორ კვირაზე ცოტა მეტი დრო და გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ (19. 01. 91). გამოჩნდა ოთხი საგანგაშო წერილი (მათ შორის ერთი კოლექტიური), საიდანაც მკითხველს ეუწყა რაღაც საშინელი მოსალოდნელი საფრთხის შესახებ აჭარაში. განგაშის საბაბი კი (და არა მიზეზი!) გახდა აჭარის უზენაესი საბჭოს საარჩევნო კანონის მეორე მუხლი, რომლის მიხედვითაც აჭარის უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად შეიძლებოდა დასახელებულიყვნენ მხოლოდ აჭარაში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეები.

კოლექტიურ წერილში ჩამოთვლილი იყო 14 მეტ-ნაკლებად ცნობილი პიროვნების გვარ-სახელი (აგრეთვე „და მრავალი სხვანი“), რომლებიც აჭარაში დაიბადნენ, აღიზარდნენ და ახლა თბილისში მოღვაწეობენ. წერილის ავტორები შეშფოთებას გამოთქვამდნენ, რომ აჭარის უზენაესი საბჭოს ახალი საარჩევნო კანონის ძალით ასეთ ღირსეულ მამულიშვილებს გზა ეღობებოდათ აჭარის უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელებლად. წერილის ინიციატორები ეტყობა ისე ჩქარობდნენ, რომ მხედველობიდან გამორჩათ შემდეგი გარემოება: მათ მიერ დასახელებული 14 პიროვნებიდან უკლებლივ ყველა მკვიდრი აჭარელი იყო. „გულმხურვალე“ პატრიოტებს რატომღაც დაავიწყდათ, რომ **აჭარაში ბევრი სახიქადულო ქართველი აღიზარდა, რომელიც მკვიდრი აჭარელი არაა,** დღეს დედაქალაქში (და სხვაგანაც!) მოღვაწეობს და ამასთან დიდად იღწვის საკუთრივ აჭარისათვის.

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, წერილების მთავარი მოთხოვნა — აჭარის უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად დასახელებულიყვნენ აჭარის ფარგლებში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეები, არსებითად წინააღმდეგობას არ შეიცავდა. მაგრამ მაინც დამაფიქრებელი იყო ის გარემოება, რომ არც პროექტების საჯარო განხილვისას და არც 3-4 იანვრის აჭარის უზენაესი საბჭოს სესიაზე საარჩევნო კანონპროექტის ეს მუხლი არავის გაუხდია მსჯელობისა და კამათის საგნად. ამასთანავე საყურადღებო იყო ის გარემოებაც, რომ **განგაში ატყდა არა სესიის დამთავრებისთანავე, არამედ ორი კვირის შემდეგ.** ისიც გამორიცხული იყო, რომ „საქართველოს რესპუბლიკა“ ამგვარ პუბლიკაციებს შეაჩერებდა, რასაც ადასტურებს ერთ-ერთ წერილზე დასმული წინა დღის თარიღიც.

როცა ამ საკითხებით დავინტერესდი, აღმოჩნდა, რომ საარჩევნო კანონის ეს მუხლი იდენტური ყოფილა ალტერნატიული პროექტებისა, რომლებიც წარმოადგინეს საქართველოს კომპარტიის აჭარის პარტიულმა ორგანიზაციამ, და **„მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო“-ს აჭარის რეგიონულმა ორგანიზაციამ. ამასთანავე, პროექტებმა წინასწარი აპრობაცია გაიარა თბილისში და ამის შემდეგ „მტკიცება“ იმისა, რომ „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო“-ს აჭარის რეგიონული ორგანიზაციის საარჩევნო კანონის პროექტში ეს მუხლი „ანალოგიით“ და „შემთხვევით“ მოხვდაო, ან ზედმეტი გულუბრყვილობაა, ან კიდევ მკითხველისადმი თვალში ნაცრის შეყრა.** თუკი მე ვცდები და „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველოს აჭარის რეგიონული ორგანიზაციის საარჩევნო კანონპროექტში ეს მუხლი მართლაც შემთხვევით მოხვდა, მაშინ ის უფრო უარესია და პროექტის შემდგენელთა არაკვალიფიციურობასა და არაკომპეტენტურობაზე მეტყველებს. მე კი ეჭვი არ მეპარება იმაში, რომ აქ არავითარი შემთხვევითობა არ იყო. ეს უფრო იმის მიმანიშნებელია, რომ უკვე იწყებოდა სკამებისათვის ბრძოლა და არც ერთ მხარეს არ უნდოდა ამ საქმეში შეცილებოდნენ თბილისიდან საგანგებოდ მოწვეული პიროვნებები, რომელთაც გარკვეული ავტორიტეტი აქვთ მოსახლეობაში (ყველაფერი ეს შემდგომში დადასტურდა კიდეც).

როცა გავაანალიზე არსებული ვითარება, მიზანშეწონილად მივიჩნიე გამომეთქვა პროტესტი აღნიშნული წერილების გამო. ჩემი აზრი წერილობით წარვუდგინე „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციას. გავიდა ერთი კვირა, მაგრამ წერილი დაპირების მიუხედავად არ გამოქვეყნდა. ამის გამო იძულებული გავხდი წერილის მეორე პირი გამეგზავნა გაზეთ „აჭარის“ რედაქციისათვის, სადაც იგი გამოქვეყნდა კიდეც 30 იანვარს. გაზეთ „აჭარაში“ ჩემი წერილის გამოქვეყნება დაემთხვა საქართველოს უზენაესი საბჭოს სესიის დადგენილებას, რომლის მიხედვითაც აჭარის უზენაეს საბჭოს მიეცა წინადადება შესაბამისობაში მოეყვანა აჭარის უზენაესი საბჭოს საარჩევნო კანონი საქართველოს კონსტიტუციასთან და გადაეტანა არჩევნები. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ 6 თებერვლის აჭარის უზენაესი საბჭოს საგანგებო სესიაზე ყოველგვარი ექსცესების გარეშე საარჩევნო კანონის მეორე მუხლში ცვლილება შეტანილ იქნა და აჭარის უზენაესი საბჭოს არჩევნებიც გადაიტანეს (ამის შესახებ შეგიძლიათ დაწვრილებით იხილოთ ჩემი წერილი — „ისე, როგორც ძირძველ ქართულ კუთხეს შეეფერებოდა!“ „ახალგაზრდა ივერიელი“, 21. 02. 91).

აი, რა აზრს ვატარებდი წერილში, რომელიც გაზეთ „აჭარაში“ დაიბეჭდა: გვინდა თუ არ გვინდა, აჭარის ავტონომიის არსებობა ფაქტია და მას ანგარიში უნდა გაეწიოს; რადგანაც ალტერნატიულ პროექტებში საარჩევნო კანონის მე-2 მუხლი იდენტური იყო და ამასთანავე იგი მსჯელობის საგანი არ გამხდარა არც საჯარო განხილვისას და არც აჭარის უზენაესი საბჭოს სესიაზე, ახლა მისმა შეცვლამ შეიძლება რაიმე გაუგებრობა გამოიწვიოს; საკუთრივ აჭარაში ეროვნული ძალები საკმაოდაა და არჩევნების გადატანისა და სათანადო წინასაარჩევნო კამპანიის მაღალ დონეზე ჩატარებით შესაძლებელია აჭარის უზენაესი საბჭოს დაკომპლექტება ეროვნული ძალების წარმომადგენლებით; არაა სავალდებულო ყველა ინტელიგენტი პარლამენტში იყოს, საქმე პარლამენტის გარეთაც საკმარისზე მეტია; არ ვეთანხმებოდი წერილების ტონს.

რამდენად იყო მართებული ამ დროს აღნიშნულ წერილში გატარებული ჩემი პოზიცია? ამ კითხვას ვაყენებ იმის გამოც, რომ, როგორც შემდგომ გახდა ჩემთვის ცნობილი, ამ წერილს დიდი გავლენა მოუხდენია **სათანადო დონეზე ჩემი რეიტინგის დაცემაში?!** ასე რატომ უნდა ვყოფილიყავი წინააღმდეგი, რომ აჭარის უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად დასახელებული ყოფილიყვნენ ამ კუთხის შვილები, რომლებიც ამჟამად თბილისში მოღვაწეობენ? (წერილებში რატომღაც დედაქალაქში მცხოვრებ აჭარის შვილებზეა ლაპარაკი და მეც ამის გამო ვწერ ასე, თორემ, საქმე სამართალია, წერილების ავტორები არც მხოლოდ თბილისით უნდა შემოსაზღვრულიყვნენ და არც მხოლოდ აჭარიდან წამოსულებით). ისინი რომ სასიკეთო საქმეს გააკეთებდნენ აჭარისათვის, სრულიად საქართველოსათვის, განა ეს საეჭვო იყო? ჩემი პოზიციის შესახებ, უკვე მოგახსენეთ და დამატებით კვლავ ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ ამგვარ ვაკხანალიას არ შეიძლებოდა უკვალოდ ჩაევლო და რაიმე უარყოფითი რეაქცია არ გამოეწვია.

სამწუხაროდ, ჩემი ეჭვი გამართლდა და ის, რომ აჭარაში საბოლოოდ ერთობ არასასურველი ექსცესები მოხდა, ამაში თუ გადამწყვეტი არა, „ლომის წილი“ ამ წერილებსაც მიუძღვით. უფრო მეტიც, აჭარაში სიტუაციის დაძაბვას ამ წერილებმა დაუდეს სათავე.

ახლა ვნახოთ, თუ როგორ განვითარდა მოვლენები აჭარაში, აჭარის უზენაესი საბჭოს საარჩევნო კანონში ცვლილებების შეტანის შემდეგ. უპირველესად, პარტიული ბლოკების სიებში შეტანილი იქნა თბილისში მოღვაწე აჭარელთა გვარები და არ იკითხავთ, რამდენი? კოლექტიურ წერილში დასახელებულ პირთაგან, ალბათ, ნახევარი, ხოლო დანარჩენი „და მრავალი სხვადან“ თუ არ ვცდები, ხუთი. ამასთან, „და მრავალი სხვადან“, დასახელებული დეპუტატობის კანდიდატები უპირატესად, აჭარიდან თბილისში მოვლენილი მიზნობრივი ასპირანტები იყვნენ, რომელთა დასახელებასაც სულაც არ სჭირდებოდა საარჩევნო კანონში ცვლილების შეტანა. ამის შემდეგ, ორჯერ გადაიდო არჩევნები და ყოველი ახალი სიის შედგენისას, იცვლებოდა „თბილისელი“ აჭარლების რიცხვი სიებში.

უფრო დამაფიქრებელი სხვა გარემოება აღმოჩნდა. კერძოდ, როცა ასეთი განგაში ატყდება, იგულისხმება, რომ აჭარის გარეთ მცხოვრებ „ცნობილ მეცნიერებსა და ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლებს“ პარტიულ სიებში შესაბამის საპატიო ადგილს მიუჩენდნენ მათი ავტორიტეტისა და დამსახურების მიხედვით. მაგრამ, სინამდვილეში ასე როდი მოხდა. თბილისში მცხოვრები დეპუტატობის კანდიდატებიდან, მხოლოდ სამი მოხვდა პარტიული სიების პირველ ათეულში. მაგრამ ჯერ სადა ხართ, როგორც კი კვლავ გადაიდო არჩევნები და ხელახლა შედგა სიები, რამდენიმე „თბილისელი“ აჭარელი გამოაკლდა სიას, ხოლო „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველოს“ აჭარის რეგიონული ორგანიზაციის პარტიულ სიაში პირველ თორმეტეულში დასახელებული ორი, მართლაც, კარგი მეცნიერი, უკვე 44-ე და 46-ე ნომრად გადაისროლეს. კვლავ გადაიდო არჩევნები, კვლავ გადასალისდა სიები ათეულში და ისინი 28 ივნისის არჩევნების საფუძველზე დეპუტატებიც გახდნენ. მაგრამ, აღნიშნული ბლოკის სიაში, საერთოდ აღარ აღმოჩნდა კიდევ ერთი „თბილისელი“ აჭარელი, რომელიც პირველად მე-2 ნომრად იყო დასახელებული, მეორედ კი მე-8 ნომრად. გაგითვალისწინოთ ისიც, რომ „საქართველოს რესპუბლიკის“ 19 იანვრის პუბლიკაციის მიხედვით, სწორედ ამ პიროვნებას თხოვდნენ ასეულობით ხელმომწერნი, სასწრაფოდ ჩაწერილიყო ბათუმში, რათა ის დაესახელებინათ დეპუტატობის კანდიდატად.

ახლა მცირე კომენტარი გავაკეთოთ. გაზეთში ასეთი ვაკხანალიის, საქართველოს უზენაესი საბჭოს დადგენილებისა და აჭარის უზენაესი საბჭოს მიერ საარჩევნო კანონში სათანადო ცვლილებების შეტანის შემდეგ, ხომ უნდა ყოფილიყო რაღაც კანონზომიერება, პარტიულ სიებში დეპუტატობის კანდიდატებისათვის ადგილის მიჩენისათვის? არაფერი ამის მსგავსიც! ცვლილებას არსებითად განიცდიდა მრგვალი მაგიდის... პარტიული სია და ამ სიაში ხომ არ გგონიათ, ადგილები „ნაწილდებოდა“ ვინმეს ავტორიტეტისა და დამსახურების მიხედვით? სრულიადაც არა! ყველაფერი ეს დამოკიდებული იყო იმაზე, თუ ვინ ადგენდა ამ სიას. აქ კომენტარი მართლაც რომ ზედმეტია!

საბოლოოდ, იმის თქმა მინდა, რომ სინამდვილეში, არავის აინტერესებდა „თბილისელი“ აჭარლების მონაწილეობა პარლამენტში. ყველაფერი ეს გარკვეული მიზნებისა და კონკრეტული პიროვნებებისათვის იყო გათვალისწინებული და მეტი არაფერი. ჩვენს მიერ გაანალიზებული სიტუაციებიც ამას უნდა ადასტურებდეს.

აღნიშნული წერილების უმართებულობაზე საუბარი მხოლოდ გაზეთ „აჭარაში“ გამოქვეყნებული წერილით არ დამისრულებია. ორჯერ შევხვდი თბილისში მცხოვრებ აჭარის ინტელიგენციის წარმომადგენლებს. მოვახსენე მათ, რომ, თუკი, ამ დემაგოგიურ წერილებს დროულ შეფასებას არ მივცემთ, და ამის შესახებ, არ მოვახსენებთ უზენაეს საბჭოს, შეიძლება ამას გაუთვალისწინებელი შედეგები მოყვეს-მეთქი. შეხვედრის მონაწილეთა უმრავლესობა მეთანხმებოდა, მაგრამ კამათის გაგრძელებას მიზანშეუწონლად მიიჩნევდა. მოკლედ, „ჩათრევას ჩაყოლის“ პოზიცია ამჯობინეს. თუ რა მოიტანა ამან, მკითხველს კარგად მოეხსენება.

ახლაც მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ: ჩვენ რომ დროზე მიგვეცა შეფასება ამ წერილებისათვის და ამის თაობაზე მოგვეხსენებინა რესპუბლიკის ხელმძღვანელობისათვის, აჭარაში გაცილებით ნაკლები საფუძველი იქნებოდა ექსცესებისათვის.

აქვე მინდა გულწრფელად ვაღიარო: პირადად მე, ვიღებ თავზე პასუხისმგებლობას იმის გამო, რომ დაწყებული საქმე ბოლომდე ვერ მივიყვანე და წინ არ წარვუძეხი იმ ახალგაზრდებს, რომლებიც გვერდში მედგნენ და მხარს მიჭერდნენ.

სწორედ ამ წერილებით დაიწყო სიტუაციების დამუხტვა აჭარაში, მოსახლეობის გაყოფა ორ ნაწილად: ავტონომიის მომხრეებად და მოწინააღმდეგეებად, რამაც საბოლოოდ 22 აპრილის მიტინგამდე მიგვიყვანა ქალაქ ბათუმში. ბათუმის მიტინგზე ფიგურირებდა აგრეთვე, ხულოს სასულიერო სასწავლებლის საკითხი.

ხულოს სასულიერო სასწავლებლის გახსნა იყო მეორე მთავარი ფაქტორი ხალხის აღელვებისა. 13 მარტის „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნდა საინფორმაციო ცნობა იმის თაობაზე, რომ ხულოს სკოლა-ინტერნატის ბაზაზე გაიხსნა სასულიერო სასწავლებელი. მაშინდელმა მითქმა-მოთქმამ, და ბოლოს, ამ ცნობამ, სიტუაცია ხულოში უფრო დაძაბა. მარტის თვეში, სამი მიტინგი გაიმართა სასულიერო სასწავლებლის გაუქმების მოთხოვნით, რადგანაც, ეს ფაქტი ადგილობრივთა ერთმა ნაწილმა აღიქვა, როგორც მუსლიმანობის წინააღმდეგ მიმართული აქტი.

ამ ამბებთან დაკავშირებით, 11-12 მარტს ვიმყოფებოდი ხულოში, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო, ვერც მამა გრიგოლი (სხალთის ეკლესიის წინამძღვარი, სასულიერო სასწავლებლის გახსნის მოთავე) ვნახე და ვერც განაწყენებული ხალხი.

სიტუაცია ხულოში ერთობ დაძაბული იყო, ამიტომაც, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარეს ილია II ვთხოვე მიველე აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. უწმინდესთან და უნეტარესთან და აგრეთვე ბათუმ-შემოქმედის მიტროპოლიტ მეუფე კონსტანტინესთან საუბრის შემდეგ, მათივე ნებართვითა და თანხმობით, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ (16. 13. 91) გამოვაქვეყნე წერილი, სადაც ხულოს რაიონის მოსახლეობას ვაუწყე შემდეგი: „საპატრიარქოს მიზნად არ ჰქონია ხულოს სკოლა-ინტერნატის გადაკეთება სასულიერო სასწავლებლად და ეს ინფორმაცია დაზუსტებას მოითხოვს. სინამდვილეში, საქართველოს ეკლესიამ საქველმოქმედო მიზნით მეურვეობა იკისრა ხულოს სკოლა-ინტერნატზე. ამასთანავე, სკოლა-ინტერნატში კვირაში ორი საათი დაეთმობა საღვთო სჯულის გაკვეთილებს. თავისთავად ამ ფაქტში არაფერი არ უნდა იყოს მიუღებელი, რადგანაც, აღნიშნულ გაკვეთილებზე დასწრება თავისუფალი იქნება და არავითარ შემთხვევაში, არ გულისხმობს ძალდატანებას. სხვათაშორის, შარშან, როცა სხალთის მონასტრის წინამძღვარი იყო მამა იობი, ხულოს რაიონის ზოგიერთ სკოლაში, ტარდებოდა მსგავსი გაკვეთილები და ამას არავითარი საწინააღმდეგო რეაქცია არ მოყოლია. ეს ბუნებრივიცაა! ხულოს რაიონი ხომ სწორედ ის ერთ-ერთი რეგიონია, საიდანაც დაიწყო ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში“.

როგორც შემდგომ შევიტყვე, გამოქვეყნდა თუ არა ჩემი ეს პატარა ინფორმაცია გაზეთში, უმალვე დაურეკიათ საპატრიარქოში ბათუმის პრეფექტურიდან და უთქვამთ: თითოოროლა კაცის გარდა, მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა (!!) სასწავლებლის გახსნას მიესალმებაო. ამის შემდეგ კი, საქართველოში ჩამოიყვანეს „სასულიერო სასწავლებლის“ მოსწავლეები და მასწავლებლები და ოთხი დღის განმავლობაში, ტელევიზია რეკლამას უკეთებდა ამ აქციას. ამის შემდეგ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II, ოფიციალურად აკურთხა ხულოს სასულიერო სასწავლებელი. სასულიერო სასწავლებლის რექტორად დაინიშნა სხალთის ეკლესიის წინამძღვარი მამა გრიგოლი.

ჩემთვის კი დღესაც გაუგებარია, თუ რა მიზანს ისახავდა სწორედ რეფერენდუმის წინა დღეებში ამ „ექსკურსიის“ მოწყობა თბილისში და მისი ასე ფართო რეკლამირება. ბუნებრივია, რომ არც ამ მოვლენებს ჩაუვლია უკვალოდ და ხულოს რაიონში სასულიერო სასწავლებლის მოწინააღმდეგთა რიცხვმა უფრო და უფრო იმატა.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ბათუმში, აპრილის მიტინგზე, მუსლიმანური ფაქტორიც (აჭარის ავტონომიის დაცვასთან ერთად) მთავარ როლ
ასრულებდა. ამაში კი გადამწყვეტ
როლი შეასრულა ნაჩქარევმა
დაწყვეტილებებმა ხულოში სასულიე
რო სასწავლებლის გახსნასთან დაკავშირებით.

ბათუმის მიტინგით არ დამთავრებულა სიძნელეები, რომლებიც თან
სდევდა სასულიერო სასწავლებლის
გახსნას. მავანთა წაქეზებით, ზოგიე
რთი სხალთის ეკლესიის აფეთქებით
იმუქრებოდა, ადანაშაულებდნენ ხუ
ლოს რაიონის ცენტრის მცხოვრებლ
ებს, რომლებმაც მოითხოვეს სასულ
იერო სასწავლებლის გახსნა და ა.
დაძაბულობამ მაისის დასაწყისში კუ
ლმინაციას მიაღწია, 3 მაისს კი ხუ
ლოს რაიონული ცენტრი შეხლა-შე
ოხლის ობიექტი გახდა. მამა გრიგო
ლმა საშველად უხმო ხონის, ზესტა
ფონის, ოზურგეთისა და ადიგენის რა
იონების პრეფექტებს. დახმარებამ
არ დაახანა და ხულოს ცენტრში ავ
ტომატებით შეიარაღებული „სტუმ
რები“ გაჩნდნენ (ეს ფაქტი ძალ
დამაფიქრებელია და დროულ შეფ
სებას საჭიროებს. ეს ხომ ძმათა შო
რის დაპირისპირების პროვოცირებ
მცდელობა იყო).

იმ დღეს იყო სროლაც, რის გამო
დაიჭრა ადგილობრივი ახალგაზრდა
მამა გრიგოლი რის ვაი-ვაგლახით გ
აპარეს შემთხვევის ადგილიდან.
ამბების შემდეგ, საქართველოს პ
ტრიარქმა დროებით შეაჩერა სას
ლიერო სასწავლებლის მოქმედე
ხულოში. ამის შესახებ, ქართველი
საზოგადოებრიობა ინფორმირებუ
არაა და მომავალში საქმისადმი ა
ზერელე და ზედაპირულმა დამოკიდე
ულებამ შეიძლება კვლავ გადაგვ
რის უსიამოვნებას.

ივლისის დასაწყისში, ხულოს ს
სულიერო სასწავლებელმა მსმენ
მიღება გამოაცხადა 10 (!) სპეციალ
ბაზე. ათი სპეციალობიდან, არცერ
(!) არაა სასულიერო და ამ სპეც
ლობების მიხედვით, ეს სასწავლებე
უფრო პროფტექნიკუმს წააგავს.
რდა ამისა, ხულოს მთიან რაიონ
ვინ უნდა ასწავლოს ამ სპეციალო
ებზე. აგერ ბათუმის უნივერსიტეტ
დგას კადრების პრობლემა და ს
ლოში გადაწყდება ეს იოლად?!
რთმა ქნას, რომ მე ვცდებოდე.
რგად მესმის, რომ ერის გაერთია
ბას რწმენის ერთიანობაც შეუწყო
ხელს, მაგრამ ცოტა დიპლომატი
ცაა საჭირო და ერთი-ორი კაცის
რებაზე ხომ ვერ ავაგებთ მთელ ჩვე
პოლიტიკას.

აჭარაში სიტუაციის დაძაბვაში
ვისი როლი შეასრულა ავტონომიუ
რესპუბლიკაში გატარებულმა საბ
დრო პოლიტიკამაც. დიდ თანამდე
ბებზე აღმოჩნდნენ ისეთი პირე
რომელთა მიმართ, აჭარის მცხოვრე
თა დამოკიდებულება არაერთგვარო
ვანი იყო.

მოკლედ, აჭარაში თანდათანობ
სიტუაცია ფეთქებადი გახდა და ა
ეთქებაც მოხდა. აფეთქებას კი ხე
შეუწყო იმ გარემოებამ, რომ ერ
მანეთს შეეჯახა თანამდებობის პ
თა ინტერესები ავტონომიის თაობა
თუკი ერთი მხარე ავტონომიის გაუ
მებას მოითხოვდა, მეორე ამჟამ
ნაჩქარევად მიიჩნევდა მასზე საუბ
და დღის წესრიგში ავტონომიის გ
ქმების საკითხის დაყენებას. თუ
ერთმა მხარემ არჩევნების ჩატარ
ნაცვლად, რეფერენდუმის გამარ
მოითხოვა და აქცია წამოიწყო, ამ
თან დაკავშირებით, მეორე მხა
მიტინგზე მოუხმო ხალხს იმის
სარკვევად, უნდოდათ თუ არა ა
რის მკვიდრებს ავტონომიის გაუ
მება. ამასთანავე, ყველაფერი
იქნა ბოლომდე გათვლილი და
ტინგიც უმართავი გახდა. საბედ
ეროდ, როგორც ადგილობრივი,
თბილისიდან საგანგებოდ ჩამოსუ
ხელისუფლების წარმომადგენლე
სა და ადგილობრივი ჯანსაღი ძალ
ის დიდი მეცადინეობით, მიტ
ტრაგიკულ ამბებში აღარ გადაიზა
ლა. მაგრამ ტრაგედია ბათუმში მა
მოხდა, რასაც, ჩვენი აზრით, სა
ლოოდ კავშირი აქვს აჭარაში მ
დინარე პროცესებთან.

მიტინგიდან ერთი კვირის შემ
30 აპრილს, ტრაგიკულად დაიღ
აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯ
არის მოადგილის მოვალეობის შე
რულებელი, აჭარაში ეროვნული
ძრაობის წამომწყები ნოდარ
ძე. ამ ტრაგიკულმა შემთხვევამ
დად აღელვა ქართველი ხალხი.
დარ იმნაძე ხომ ქართული ეროვ
ლი მოძრაობის ცნობილი წარმო
დგენელი იყო, აჭარაში ეროვნ

# რა მოხდა აჭარაში?

(დასასრული)

...ობის ლიდერი. მაგრამ ისიც უნ-...თქვას, რომ განსვენებული ნ. ...ისა და აჭარის მკვიდრთა ერთი ...ის დამოკიდებულება ყოველთ-...ვის ყოფილა ერთგვაროვანი. გა-...ნოთ 1988 წლის 10 დეკემბრის ...ი ბათუმში, როცა სასტიკად ...ვეს ნ. იმნაძის ბინა. გავიხსე-...გრეთვე, თავდასხმა მასზე თბი-...ი და უსაფუძვლო ბრალდება ამ ...სხმაში ბათუმელთა მონაწილეო-...შესახებ.

...ედიის მიზეზებს გამოძიება ...ვევს. მაგრამ, ამ ტრაგედიასთან ...შირებით, არის მომენტები, რო-...ც გამოძიება ვერ გაარკვევს. ...დ, მოსახლეობამ უნდა იცოდეს, ...მე, ნ. იმნაძე დაიღუპა როგორც ... (რაზედაც მიანიშნებს მისდამი ...ნილი ნეკროლოგის ფინალი) თუ ...იქმნა მისივე საბედისწერო შე-...ის მსხვერპლი (რაზედაც ბადეშ... საქართველოს რესპუბლიკის ...ღვანელთა დუმილი ერთი კვი-...განმავლობაში)? თუ ეს საკი-... არ გაირკვევა და ამის შესახ-... ეცნობება მოსახლეობას, მით-...თქმა, ჭორები და გადაბრალ-...დმობრალებები დიდხანს გაგ-...ლება.

აჭარაში ექსცესები მოხდა. ზოგი-ერთ ინტერვიუში (მ. ომანიძე, ნ. ვე-რძაძე, ბ. მელაძე) გამოითქვა აზრი, რომ აჭარაში სტაბილურობაა. პირა-დად მე, როგორც ამ კუთხის შვილს, სიტყვა „სტაბილურობის" უბრალო მისადაგებაც კი აჭარისადმი ცუდ ხასიათზე მაყენებს. ცუდ ხასიათზე მაყენებს იმის გამო, რომ აქ ამის მსგავსი არაფერი უნდა მომხდარიყო, რათა, შემდგომ ეს სიტყვა გვეხმარა აჭარის მიმართ. თუკი აჭარაში მარ-თლაც სტაბილურობაა, ნურავინ იტყ-ვის, რომ ეს შისი დამსახურებაა. მა-თი „დამსახურებაა", რომ ასეთი სი-ტუაციები შეიქმნა, ხოლო აჭარის მკვიდრნი საბოლოოდ ანკესზე არ წა-მოეგნენ და თვითონვე დაამყარეს წე-სრიგი. **ესაა სიმართლე და ვინც რა უნდა თქვას, ბოლოს ამ სი-მართლეს ვერ გაექცევა.**

ახლა ვიკითხოთ, რის ხარჯზეა სტაბილურობა აჭარაში. 22-28 აპრი-ლის მიტინგზე ბათუმში, ტრიბუნა, ...ილო შემდეგ, ტელევიზია ხელთ ჰქონიათ სხვებს არავის, თუ არა იმათ, ვის სინდისზეცაა ყბადაღებული „აჭ-არული სეპარატიზმი". ამის შემდეგ კი, რესპუბლიკის ხელმძღვანელობა-სთან, აჭარის სახელით აუდიენცია ჰქონიათ იმაზე, რომელთაგან ერთის „მეცნიერული" კვლევა-ძიება აჭარა-გურიის საზღვრების დადგენას და ამის საფუძველზე პროვოკაციული დასკვნების გაკეთებაზეა მიძღვნილი; მეორე აჭარის ერთ-ერთ რაიონულ ცენტრში შეკრებილთ, 26 მაისს აჭ-არის გლოვის დღედ გამოცხადებას ურჩევდა; მესამე ამ ორი წლის წინ, მოსკოვში რაზუმოვსკის დეპეშას დე-პეშაზე უგზავნიდა, არიქა, გვიშველეთ, ქართველები აჭარლებს გვავიწროებე-ნო. თუკი ამისთანების პრეტენზიებს გასაქანი ეძლევა, მაშინ სტაბილურ-ობა კი იქნება, მაგრამ რამდენად მყა-რია ეს სტაბილურობა და ვის აძ-ლევს ხელს ასეთი სტაბილურობა, ესეც საკითხავია.

არ მინდა, ჩემი წერილიდან ისეთი შთაბეჭდილება დარჩეს მკითხველს, რომ აჭარაში გამოუვალი მდგომარ-ეობაა და ექსცესები მომავალშიც მოსალოდნელია. მე ამ აზრის სულაც არა ვარ. აჭარის მოსახლეობას (მკვი-დრსაც და არამკვიდრსაც) ბევრი გა-ნსაცდელი და გაჭირვება გადაუტანია, ბევრის მნახველია — ბევრიც დაუკ-არგია და ბევრიც შეუძენია, მაგრამ კრიტიკულ ჟამს, მუდამ სწორი გა-მოსავალი უნახავს და თავი არ შე-ურცხვენია. შემდგომში გაუგებრო-ბანი რომ აღარ განმეორდეს, აუცი-ლებელია ამ კუთხის გონივრული მართვა და არა მისი წარსულითა და გრძნობებით სპეკულაცია.

მინდა ერთი ფაქტი გავიხსენო, რაც ჩემს ნათქვამს უფრო ნათელს გა-ხდის. გასულ წელს, ბევრი შეხვედრა მქონდა ბათუმსა და აჭარის ყველა რაიონში. ჩემი საუბრის თემები იყო: „ქართული ფენომენი", „ქართველი კაცის ცხოვრების წესი ისტორიულ-ად (ქრისტიანობის მიღებიდან თა-ნამედროვე ეროვნული მოძრაობით დამთავრებული)", „აჭარის ავტონო-მიისა და მუსლიმანობის პრობლემე-ბი". ამასთანავე, მე მიხდებოდა ერთი ჯგუფის ნაკვალევზე გავლა, რომელ-თა წევრები აშკარად ანტიქართულ ფსიქოზს ავრცელებდნენ აჭარის მოსა-ხლეობაში. სხვადასხვა მონაცემებზე დამყარებით მივედი იმ დასკვნამდე, რომ მათ უკან იდგა აჭარის საოლქო კომიტეტი.

ბათუმში დაბრუნებული, სასწ-რაფოდ შევხვდი აჭარის უზენაესი სა-ბჭოს მაშინდელ თავმჯდომარეს და ამავე დროს, აჭარის საოლქო კომი-ტეტის პირველ მდივანს თენგიზ ხა-ხვას. მასთან მქონდა ერთსაათიანი საუბარი. მე, ბატონ თენგიზს ვუთხა-რი, რომ ვერც ის დაიცავს ავტონომი-ას და ვერც მე გავაუქმებ მას. ყვე-ლაფერი ეს, ბუნებრივად მოხდება, როგორც ამას ჩვენი ერის საჭიროება მოითხოვს-მეთქი. ჩვენ კი, ჩვენი დაუღალავი მეცადინეობით, შევძლ-ლია აჭარის ავტონომიასთან დაკავში-რებული „მშობიარობის ტკივილები" შევამსუბუქოთ. ბატონმა თენგიზმა ბოლომდე კარგად მომისმინა და ... ხლოებით ასეთი რამ მითხრა: „ეს ად-გილი (ე. ი. მისი თანამდებობა — მ. მ.) მე არც მიყიდია და არც შემ-კვიდრეობით მრგებია. დღეს მე ვარ, ხვალ სხვა იქნება. მაგრამ ერთს კი გეტყვი — სანამ აქ ვიქნები, აჭარაში ექსცესები არ მოხდებაო".

ამის შემდეგ, ბატონი თენგიზ ხა-ხვა კიდევ 6 თვეს იყო აჭარის ხელმ-ძღვანელი და მართლაცდა ამ პერიო-დის განმავლობაში, არავითარი ექსცე-სი არ მომხდარა. თუ მხედველობაში არ მივიღებთ არასანქცირებულ მი-ტინგს ბათუმში, 30 ნოემბერს. მაგრამ ეს მიტინგი ჩაიშალა (რასაც ზემოდან აღარ ჰქონდათ მხარდაჭერა). ეს მიტ-ინგი დაგმობილი იქნა და პირველად მკაცრი კრიტიკის ქარცეცხლში გაა-ტარა იგი გაზეთმა „აჭარამ" (5. 12. 91). მკითხველმა კარგად რომ გაიგოს ნა-თქმელი, უფრო კონკრეტულად ვიტ-ყვი: მშრომელი აჭარელი სოფლი-დან (მითუმეტეს გაგანია სამუშაო პე-რიოდში) ქალაქში მიტინგზე არ ჩა-მოვა, თუკი გარკვეული ძალები არ მოუხმობენ მას და ამასთან ერთად, შეცდომაში არ შეიყვანენ („ავტონო-მიას გიუქმებენ", „ძალით გაგაქრის-ტიანებენ" და მრავალი სხვა ამგვა-რი). ასე იყო 1988 წლის 10 დეკემ-ბერს, ასე იყო 1991 წლის 22-28 აპ-რილს. ქართველმა საზოგადოებრიობამ ყველაფერი ეს უნდა იცოდეს.

...ნაწერი: მას შემდეგ, რაც ჩა-...და აჭარის უზენაესი საბჭოს ...ნების მეორე ტური 1991 ... 19 ივლისს გაიმართა აჭარის ...ნომიური რესპუბლიკის პირ-... მოწვევის უზენაესი საბჭოს ...ლი სესიის პირველი სხდომა. ...რის უზენაესი საბჭოს თავმ-...რის პოსტზე დასახელებული ... ორი კანდიდატურა — დეპუ-... ასლან აბაშიძე და დეპუტა-... როსტომ დოლიძე. მას შემდეგ, ... ავტონომიური რესპუბლიკის ...ტიტუციის 103-ე მუხლში შე-... იქნა ცვლილება, რომლის ...მადაც უზენაესი საბჭოს თავ-...მარე ადრინდელი ფარული ...ყრის ნაცვლად აირჩეოდა ...კენჭისყრით, დეპუტატმა რო-...მ დოლიძემ მოხსნა თავისი კან-დიდატურა. აჭარის უზენაესი საბ-ჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქ-ნა დეპუტატი ასლან აბაშიძე. სე-სიის მუშაობაში მონაწილეობდა და სიტყვა წარმოთქვა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ.

სინამდვილეში კი აჭარის უზე-ნაესი საბჭოს სესიის სხდომა გა-ცილებით დაძაბულად ჩატარებულა, ვიდრე ეს ამ მშრალი მონაცემები-დან ჩანს. სესიის დღეს, დილიდან-ვე ყოფილი აჭარის საოლქო კომი-ტეტის შენობის წინ, სადაც უნდა გამართულიყო სესია, თავი მოიყა-რა ხალხმა აჭარის სხვადასხვა რა-იონებიდან. ხალხი იმთავითვე ორ-ად გაიყო — ასლან აბაშიძის და რო-სტომ დოლიძის მომხრეებად.

ბატონი ასლან აბაშიძის მომხრე-ებმა ბათუმის ილია ჭავჭავაძის სა-ხელობის სახელმწიფო თეატრის შენობის ტრიბუნა დაიკავეს. ისინი ერთობ გამომწვევად იქცეოდნენ და მათი ლოზუნგებიც საკმაოდ რა-დიკალური იყო. ამასთანავე, ამ ბა-ნაკში ერთობ აქტიურობდნენ ე. წ. „აჭარის ხსნის კომიტეტის" წევ-რები. მათ შორის იყვნენ აგრეთვე 1988 წლის შემოდგომაზე, ბათუმში საქართველოს ეროვნული მოძრა-ობის დარბევის ზოგიერთი აქტიუ-რი მონაწილე. ასლან აბაშიძის მო-მხრენი იმუქრებოდნენ, რომ თუკი მათი კანდიდატურა არ გავიდოდა, მაშინ მიმართავდნენ უკიდურეს ზომებს.

აქტიურობა არც ბატონ როს-ტომ დოლიძის მომხრეებს აკლდ-ათ, მაგრამ ისინი შედარებით ცო-ტანიც იყვნენ და ნაკლებაგრესიუ-ლნიც.

სესია რომ დაძაბულად მიმდინა-რეობდა, იგრძნობოდა იმ აჟიოტაჟი-თაც, რასაც ადგილი ჰქონდა უშუ-ალოდ საოლქო კომიტეტის შენო-ბის მისადგომებთან. შენობიდან გამოდიოდა ხმები, რომ ამა და ამ დეპუტატმა დატოვა დარბაზი, რომ ბლოკი „აჭარა" მკვეთრ წინააღმდ-ეგობას უწევს „მრგვალ მაგიდას" და ა. შ. საბოლოოდ გაირკვა, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლი-კის კონსტიტუციის 103-ე მუხლში ცვლილება შეუტანიათ საქართველ-ოს პრეზიდენტის აქტიური ჩარევ-ით, ხოლო დეპუტატი როსტომ დო-ლიძე თითქმის აიძულეს მოეხსნა თავისი კანდიდატურა (ეს კარგად ჩანდა სატელევიზიო პროგრამა „მო-ამბედანაც".

აჭარის უზენაესი საბჭოს სესიის პირველმა სხდომამ აჭარის მოსახ-ლეობაში ბევრი მითქმა-მოთქმა გა-მოიწვია. გაჩნდა ვერსიები, ეჭვე-ბი. ერთი რამ ცხადია, მას შემდ-ეგ, რაც საქართველოში ეროვნულ-მა მოძრაობამ გაიმარჯვა როგორც წესი დიდ თანამდებობაზე რეკო-მენდაციებს აძლევენ და ირჩევენ ეროვნული მოძრაობის წარმომად-გენლებს და გამომდინარე აქედან, ბუნებრივია, დაისმის კითხვა — რა-ტომ მაინცდამაინც აჭარის უზენა-ესი საბჭოს თავმჯდომარის კანდი-დატების დასახელებისას და თავ-მჯდომარის არჩევისას იქნა დაშ-ვებული გამონაკლისი? ამ კითხვა-ზე პასუხს ალბათ დრო სჭირდე-ბა.

# მემკვიდრეობითი სიცრუე

## სამწუხარო პარალელები

### საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის პრესსამსახურის განცხადება

...საქართველოში ჯერ კიდევ არიან შე-...ული ოპოზიციის დესტრუქციული ძალები ...თ შორის დაჯგუფება, რომელიც თავის-... ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას უწო-... და ამ ბოლო ხანს არაერთხელ მიუმარ-... ანტიკონსტიტუციურ მოქმედებისათვის, ...ის მაგალითად გამოდგება **მასობრივი უწ-...ობანი და შეიარაღებული ექსცესები** (ხა-... აქაც და შემდეგაც ჩვენია — რედ.). ...ებიც საქართველოს დედაქალაქ თბილი-... მოხდა 2 სექტემბერს მისი ინიციატივით, ... მოქალაქეთა და სამართალდამცავი ორ-...ბის წარმომადგენელთა დაშავება და და-...მოჰყვა.

...ს რა ცრუდემოკრატიული და ცრუპარ-... ლოზუნგებით, ეროვნულ-დემოკრატი-...პარტიამ ბოიკოტი გამოუცხადა რესპუბ-... საკანონმდებლო და აღმასრულებელი ინ-...ების არჩევნებს, **გაფიცვებისა და საბ-...რმიასთან კონფრონტაციისათვის, მოქალა-...ვი ურჩობისათვის** და ხალხის მიერ არ-... საქართველოს **მთავრობის ძალადობრი-...მხობისათვის მოუწოდებდა ხალხს**, რითაც ...ლიკის მოსახლეობას ძმათამკვლელი ომი-... აქეზებდა.

...ნული დამოუკიდებლობის მშვიდობიანი ...ტუციური გზით მიღწევის გზა, რომელ-...ართველოს რესპუბლიკამ აირჩია, ხელს ...ევთ საქართველოს გარკვეულ ოპოზიცი-...ებს, რომლებიც არღვევენ **საზოგადოებ-...რიგს** და სისხლისსამართლებრივად და-... მოქმედებას მიმართავენ, რითაც მსოფ-...ზოგადოებრიობის თვალში სახელს უტე-...რა მარტო რესპუბლიკის ხელმძღვანელ-...რამედ მთელ დემოკრატიულ საქართვე-...და მდგომარეობის დესტაბილიზაციის მე-..., ნებსით თუ უნებლიეთ გვაშორებენ ...მშობლოს დამოუკიდებლობის მიღწევის ...

...თველოს ხელმძღვანელობა, რომელიც ...ლიკის მოქალაქეთა უფლებებისა და თა-...ებების დაცვის გარანტად გვევლინება და ...ად აღკვეთავს ანტიკონსტიტუციურ მო-..., კვლავაც გაუძღვება ქვეყანას ეროვ-...ლორძინების საერთაშორისო გაერთიანე-...რ აღიარებული სამართლიანი დემოკრა-... სახელმწიფოს აშენების გზით.

„...თველოს რესპუბლიკა", 4 სექტემბერი, 1991 წ.

### საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს განცხადება

ღრმა მწუხარებით ვიუწყებით იმ ტრაგიკულ მოვლენაზე, რომელიც მოხდა 9 აპრილს, თბილისში, მთავრობის სახლის წინ, განთიადისას...

დღეს ერთი რამ ნათელია: პასუხისმგებლობა ამ უბედურების გამო, პირველ ყოვლისა, ძირითადად ეკისრებათ არაფორმალურ ორგანიზაციათა ლიდერებს, რომლებმაც თავისი შეურიგებელი, აღვირახსნილი, **ანტისახელმწიფოებრივი მოქმედებით** უკიდურესად დაძაბეს საზოგადოებრივი ატმოსფერო...

ხუთი დღის განმავლობაში თბილისში, მთავრობის სახლის წინ განუწყვეტლივ მიმდინარეობდა მიტინგები და დემონსტრაციები, რის შედეგადაც პრაქტიკულად მოხდა დედაქალაქის, მთელი რესპუბლიკის ცხოვრების პარალიზება. უკანასკნელ ხანებში მიტინგებისა და მანიფესტაციების ორგანიზატორები სულ უფრო ხშირად და აშკარად **მოუწოდებდნენ გაფიცვებისა და უწესრიგობისაკენ, რამაც საფრთხე შეუქმნა საზოგადოებრივ უშიშროებას; აყენებდნენ მთავრობის გადადგომის მოთხოვნებს**, ანტისაბჭოთა, ანტისახელმწიფოებრივი, ანტისოციალისტური და ანტიკომუნისტური შინაარსის **ლოზუნგებს**... მიტინგზე ადგილი ჰქონდა ცდას, შეექმნათ ე. წ. „ეროვნული კომიტეტი" და დაეკისრებინათ მისთვის **დროებითი მთავრობის ფუნქციები**...

მიტინგებისა და მანიფესტაციების ორგანიზატორები, არაფორმალურ გაერთიანებათა ექსტრემისტი-ლიდერები **აქეზებდნენ ხალხს არ დამორჩილებოდნენ ხელისუფლებას, სამართალდამცავ ორგანოებს; მოუწოდებდნენ არსებული წყობილების დამხობისაკენ**...

... რამდენიმე დღის განმავლობაში განუწყვეტელი იერიშების ობიექტი იყო საქართველოს ტელევიზიის შენობა...

მთავრობის სახლის მიმდებარე ტერიტორიის მომიტინგეთაგან გათავისუფლების მიზნით გამოყვანილ იქნენ სპეციალური, საზოგადოებრივი წესრიგის დამცავი ქვეგანაყოფები... **მანიფესტაციის ორგანიზატორებს არაერთხელ მოუწოდეს მშვიდობიანად დაშლილიყვნენ**, მაგრამ მათ ყურად არ იღეს ეს თხოვნა. პირიქით, ისედაც დაძაბული სიტუაცია ფსიქოზამდე მიიყვანეს. **მოუწოდებდნენ ახალგაზრდობას, არ მორიდებოდნენ სისხლისღვრას.**

წესრიგის დამცველებს ცეცხლსასროლი იარაღი არ გამოუყენებიათ. შექმნილი უწესრიგობისას, როგორც ითქვა, დაიღუპა 16 ადამიანი, დაშავდა — 200, მათ შორის 91 — საზოგადოებრივი წესრიგის დამცველთაგან; მათგან 20 ჰოსპიტალიზებულია.

ამჟამად მთავრობის სახლის მიმდებარე ტერიტორია **გაწმენდილია** მომიტინგეთაგან...

რესპუბლიკის ხელმძღვანელობა ღრმა გულისტკივილს გამოთქვამს ამ ტრაგედიის გამო...

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო რესპუბლიკის ყოველ მოქალაქეს მოუწოდებს ამ მძიმე დღეებში გამოიჩინონ **სიმშვიდე**, კეთილგონიერება; არ აჰყვნენ ექსტრემისტთა პროვოკაციებს, თავი შეიკავონ ყოველგვარი კანონსაწინააღმდეგო მოქმედებისაგან, რათა მოვლენათა ტრაგიკულმა განვითარებამ შეუქცევადი ხასიათი არ მიიღოს

„ზარია ვოსტოკა", 11 აპრილი, 1989 წ.

### მთავრობის განცხადება

**როგორც** ცნობილია, 21 სექტემბერს, თბილისში უაღრესად დაიძაბა ვითარება. რამდენჯერმე სცადეს ხელთ ეგდოთ მთავრობის სახლის შენობა, რომელთანაც ათასობით ადამიანი შეიკრიბა რესპუბლიკის კანონიერი ხელმძღვანელობის დასაცავად. ისინი მთელი დღე-ღამის განმავლობაში პარლამენტთან იყვნენ, სადაც მიმდინარეობდა მიტინგი. მიტინგის დროს საკმაოდ მრავალრიცხოვანი, აგრესიულად განწყობილი პირების ჯგუფიდან სცადეს თავს დასხმოდნენ შეკრებილთ სატვირთო ავტომობილების დახმარებით. მხოლოდ მიტინგის მონაწილეთა გამბედაობამ, რესპუბლიკის ხელმძღვანელობის მტკიცე ნებისყოფამ და თავდაჭერილობამ გახადა შესაძლებელი ტრაგიკული შედეგების თავიდან აცილება. კონფრონტაცია გაგრძელდა 22 სექტემბრის დილამდე.

ღამით მთავრობის ათიათასობით ... მხრემ მოაწყო მშვიდობიანი მსვლელობა-მანიფესტაცია რუსთაველის პროსპექტზე. მათ გზ... გადაულობეს ბარიკადებზე თავმოყრილმა ... ნიერი მთავრობის მოწინააღმდეგე ჯგუფებ... მიუხედავად **იმისა, რომ მანიფესტანტები კეთილგონიერებისათვის მოუწოდებდნენ**, მათ ქვებით, არმატურის კეტებითა და სხვა საგნებით გაუმასპინძლდნენ.

უფრო მეტიც, **ბარიკადებზე მყოფებმა გამოიყენეს გაზი „ჩერიომუხა"**, რის შედეგადაც არის მოწამვლის შემთხვევები. უნდა აღინიშნოს, რომ მანიფესტანტთა შორის არ ყოფილა **სამართალდამცავ ორგანოთა არც ერთი წარმომადგენელი.**

მხოლოდ ხალხის მეცადინეობით მოხერხდა რუსთაველის პროსპექტის **გაწმენდა** ბარიკადებისაგან. საბედნიეროდ, არც ერთი მხრიდან არ არის მსხვერპლი.

ახლა პროვოკატორები ქალაქში ავრცელებენ ყალბ ინფორმაციას, რათა გამოიწვიონ არეულობანი და გაამწვავონ ვითარება. გთხოვთ არ აჰყვეთ პროვოკაციებს და იყოთ **მშვიდად**. ეს აუცილებელია იმისთვის, რომ უზრუნველვყოთ სტაბილიზაცია ჩვენს რესპუბლიკაში, რაც ჩვენი სანუკვარი მიზნის — საქართველოს დამოუკიდებლობის მიღწევის საწინდარია.

რესპუბლიკის ხელმძღვანელობა მზად არის კონსტიტუციური დიალოგისათვის ყველასთან, ვისთვისაც ძვირფასია თავისუფლების იდეალები.

დაე, ღმერთი იყოს საქართველოს მფარველი!

თბილისი. 1991 წლის 22 სექტემბერი

„საქართველოს რესპუბლიკა". 24 სექტემბერი, 1991 წ.

# ღია ბარათი ქართველ მწერლებს

**ტიციან ტაბიძე**

მამულიშვილნო და მოქალაქენო!

დღევანდელი დღე და ორივე ეს სიტყვა გვავალებს.

სხვა დროს არ გვქონია საშუალება არც შეერთებისათვის და არც ხმის ამოღებისათვის.

დღეს ეს შესაძლებელია და აუცილებელიც.

ომის გამოცხადებისას ქვეყანა მოიარა გერმანელ მწერალთა და მეცნიერთა ქედმაღალმა მოწოდებამ; მოპირდაპირეთაც უპასუხეს თავიანთი ღირსების შეგნებით.

ერის სული მწერლობაში ლაპარაკობს.

არავის არა აქვს მეტი უფლება ერის სახელით გამოსვლის, ეს მწერლების სალმრთო მოვალეობაა.

თქვენ,

ვისაც გაწვალებდათ საქართველოზე ფიქრი,

ვინც იტანჯებოდა მისი ტანჯვით,

ვინც ყველაფერი შესწირეთ მისი სიწმინდის შესანახად.

და გიყვარდათ საქართველო უფროსს ყველაფრისა, რაც წარმავალია და არამარადი. თქვენ ხალხი დაგიჯერებთ, რადგან თქვენი უწინაც სჯეროდა.

ეს ნდობა არის ერთად ერთი და უდიდესი საჩუქარი უანგარობისა და სიწმინდისათვის ქართველი ხალხისგან.

დღევანდელმა სასტიკმა ომმა გამოაჩინა, რომ არ არის სიტყვა, უფრო წმინდა და ძვირფასი, როგორც სიტყვა „სამშობლო“.

კეთილშობილი საფრანგეთი, რომლის დეკადენსზე ასე უყვარდათ ამდენ ხანს ლაპარაკი. ეხლაც ემაგალითა მისგან დავალებულ კაცობრიობას. სამასზე მეტმა ყველაზე ნიჭიერმა პოეტმა, მწერლებმა და მხატვრებმა დადეს თავიანთი სიცოცხლე საფრანგეთისათვის არრასის და სხვა თხრილებში. საფრანგეთი უკვე შეეჩვია იმ აზრს, რომ ორმოცდაათი წელი მისი მწერლობა ამის გამო იქნება გამწევ კრიზისში.

მონობაში დაბადებულ და აღზრდილ ქართველებს გვეძლევა დღეს საშუალება გავიმეოროთ წინათქმა, რომლითაც მემატიანე იწყებს „ქართლის ცხოვრებას“ და რომელსაც გრძელ ისტორიულ ცხოვრებაში ამართლებდა ქართველი ერი: „არავის ვეყმოთ, არცა ვემონოთ გარეშე ღვთისა დამბადებლისა...“

თავისუფალი და ბე[illegible] საქართველო — ჩვენ შეგ[illegible]

დღეს, როცა ქალაქიდან ქალაქად, სოფლიდან სოფლად დადიან, ალბათ, სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლე[ბი] და ერის ნებისყოფას ანელებენ კერძო ჯგუფურ თუ სხვა მოთხოვნათა შერე[ვით], საჭიროა მათ წინ უსწრებდეს ქართველი მწერლების შეერთებული ხმ[ა], რომელშიც ყოველ ჯგუფობაზე მაღლა მდგარი ქართული აზრი გამოითქმება.

დღეს, როცა ხალხში რიგდება, ალბათ, უთვალავი ფურცლები და მოწოდებები, საჭიროა იყოს მოწოდება ქართველი მწერლების; მოყვარული გულით და ნიჭიერი ხელით დაწერილი ეს მოწოდება მონუსხავს ხალხის გულს.

**„საქართველო“, 1917 წლის 6 აპრილ[ი]**
იბეჭდება მცირე შემოკლებით

# როგორ ჩავშალოთ „პუტჩი“?

## ანუ

## „გაიხადეთ ტუფლები“



**რედაქციის წინათქმა:**

საქართველოს ხელისუფლება შეშფოთებულია ე. წ. „პუტჩისტების“ მოქმედების გამო. ვინ იცის, პრეზიდენტიდან დაწყებული, კანცელარიის ყველაზე ჩინდაბალი მოხელით დამთავრებული, თუ რა გაწამაწიაშია, როგორ აფორიაქებულია ყველა, დიდი თუ პატარა, რომ როგორმე ბოლო მოუღონ პუტჩის მცდელობას...

ვის აღარ ხთხოვენ რჩევას. შველას, შინაურს თუ უცხოს!.. თვით საზღვარგარეთის მთავრობებსაც კი. არადა, ორ ნაბიჯზე, უზენაეს საბჭოში, აღმოჩნდა კაცი, რომელსაც „საუკეთესო“ გზა გამოუნახავს „პუტჩისტების“ დასამარცხებლად. ეს კაცი გახლავთ ბატონი გურამ პეტრიაშვილი. ქვემოთ ვბეჭდავთ 23 სექტემბერს მთავრობის სახლის წინ გამართულ მიტინგზე გ. პეტრიაშვილის გამოსვლის ტექსტის იმ ნაწილს, სადაც დახატულია მარტივი ლონისძიება „პუტჩის“ ძირიან-ფესვიანად აღმოსაფხვრელად. მაგრამ ვიდრე ბატონ გურამის სიტყვას გაეცნობოდეთ, გვინდა ერთიც დავძინოთ.

გურამ პეტრიაშვილი პერმანენტული მიტინგების უცვლელ გამომსვლელად იქცა და მისი ყოველი გამოსვლის პათოსი განსაზღვრულია პრეზიდენტის ეგზალტირებული ქე... ...იდებით.

„კიაზველს შევახსენებთ დავით აღმაშენებლის მემატიანის სიტყვებიდან ერთ ფრაზას. მემატიანე ამბობს — „არა დიდ იყო აქილევსი, არამედ დიდსა მიემთხვია მაქებელსა ჰომიროსს“.

იგივე შეიძლებოდა გ. პეტრიაშვილის დასტურ ჰომიროსობის შესახებ გვეთქვა.

ახლა კი ბატონ გურამს მივცეთ სიტყვა.

●

ჩვენ ვერავინ მოგვერევა. ერთ დიდ მწერალს აქვს შესანიშნავი გამოთქმა. მე მაინც მაბრალებენ, უცხოელები არ გიყვარსო, ტყუილია ეგა. როგორ არ მიყვარს, დიდი კაცია ეგა. იმან თქვა, ჰემინგუეიმ თქვა: „ადამიანი შეიძლება გაანადგურო, მაგრამ მას ვერ მოერევი, მასზე ვერ გაიმარჯვებ, როდესაც ის კაცი მართალია“. ასეცაა. ჩვენ, არა მარტო ეგენი... მანდ ერთი მუჭა... რა დავარქვა მათ? მოდი დავარქვათ, რაც მაგათ ნამდვილად ჰქვიათ — მაგათ ჰქვიათ, მეგობრებო, ინტერფრონტი. ეს არის ინტერფრონტი, რომელსაც... რომელსაც ყველა ნიშანი აქვს ინტერფრონტისა. ჯერ ერთი, იქ არიან ადამიანები, რომელსაც ქართული გვარი აქვთ, მაგრამ... მე ეს წინა მიტინგზე დავასაბუთე ეგენი ქართველები არ არიან. ისინი არიან ქართველები, რომლებსაც კი აქვთ ქართული გვარი, ენაც იციან, მაგრამ ამასობაში შეგნება არა აქვთ ქართული. ასევე იქ არიან თავმოყრილნი, მეგობრებო, უნდა გითხრათ, ათეისტები. ის არის ათეისტების ბანაკი. იქ რამდენიმე კაცს, ეხლა არ მინდა ვთქვა, არ მინდა რომ აქა ვთქვა, მაგრამ ლიდერებს შორისაც ათეისტები არიან, მათ ქრისტე არ სწამთ, მათ არა სწამთ ქრისტეს... არ სწამთ ქრისტეს მკვდრეთით აღდგომა, ხოლო როდესაც ადამიანს ქრისტეს მკვდრეთით აღდგომა არა სწამს... მეგობრებო, მისი ნებისმიერი ლოზუნგი, თუ ის ქართველია... მისი ნებისმიერი ლოზუნგი სისულელეა. ის ვერაფერს ვერ გააკეთებს და ჩვენ კიდევ იმიტომა გვაქვს სიყვარული, რომ ჩვენ ქრისტე გვინდა, ჩვენ გვინდა ერთიანი სარწმუნოება, რომლის გარეშეც, მეგობრებო, რომლის გარეშეც ჩვენ ვერ ვიქნებით, ვერ ვიქნებით ჩვენ... უყურეთ, რა ხდება, მეგობრებო! მე არ მინდა ეხლა, არავინ არ გამიგოს, რომ... ცხადია, არიან მაჰმადიანი ქართველები და მე არ ვამბობ იმას, რომ ის ქართველი არ არის და ეს არა... ეს არავითარ შემთხვევაში... ქართველი ყველა ქართველია და ყველა ერთადა ვდგავართ, მაგრამ მე სხვა მინდა გითხრათ... რომ ისტორიის მანძილზე რომ მოდიოდა ეს ქრისტიანობა. ის ჩვენში იყო როგორც, აი, კაცის სხეულში არის ჩონჩხი, მეგობრებო. აი, როდესაც ბოლშევიკებმა გამოაცალეს ეს ჩონჩხი, გამოაცალეს ქართველებს... აი, ის ქართველები, რომელიც გახდა ურწმუნო, როგორც ხორცის გროვა, ისეთები დაეყარნენ და ყრიან ახლა უნივერსიტეტის წინ... იქ აღარა ყრიან. ეხლა ყრიან იმასთან, რა ქვია... ტელევიზიასთან... მეგობრებო! აი, ის ადამიანები, რომლებზეც მე ხშირად მილაპარაკია, ჩვენი ვითომ — ინტელიგენცია... ინტელიგენცია აქა დგას, ინტელიგენტია გლეხი, რომელმაც იცის „ვეფხისტყაოსანი“, მაგრამ ინტელიგენტი არ გახლავთ ლანა ღოღობერიძე, რომელმაც „ვეფხისტყაოსანი“ არ იცის... ამაშია საქმე, ამაშია საქმე... ინტელიგენტობა არ ნიშნავს, ინტელიგენტობა არ ნიშნავს „შანელის“ სუნამოს თავზე გადასხმას... ინტელიგენტობა ნიშნავს იმას, რომ შენ იცოდე, რომ რასაც რა სუნი აქვს, რომელია ნორმალური და კარგი... ერთმა კაცმა, მეგობრებო, აი, წავკისში იყიდა... წავკისელი მეგობრები მყავს მე და იმათ მითხრეს... წავკისში იყიდა ერთმა ეგეთმა ინტელიგენტმა, იყიდა სახლი და ერთი წლის შემდეგ პროტესტი განაცხადა სოფლის საბჭოში — აი, აქ ჩემს მეზობელსო, იმას ძროხები ყავსო და იქიდან სუნი მოდისო... ხალხნო! ყველა ნამდვილმა ინტელიგენტმა, დაწყებული რუსთაველიდან, ეს იქნებოდა სულხან-საბა თუ ილია ჭავჭავაძე, იცოდა კარგად, რომ ძროხის ნაკელს სუნი არა აქვს, ხალხო, ის სასიამოვნოა, იმიტომ რომ ის ბუნებაა, ის ხომ ქართული ბუნებაა და არ შეიძლება, ეს რომ არ იცის კაცმა და ის რომ იტყვის რომ იქ სოფლელები დგანანო... დიახაც, ბატონო, რა ვქნათ, ქალბატონო ლანა და ბატონო ელდარ, თქვენ კი ხართ ქალაქელები, მაგრამ ჯერ ერთი... ჯერ ერთი თქვენი წინაპრები იყვნენ სოფლელები და მეორეც, რა ვუყოთ ამ საწყალ ორ სოფლელ კაცს, სხვებს რომ თავი დავანებოთ, ილიას და აკაკის, რა ვუყოთ, ამ საწყლებს?

აი, მეგობრებო, ყველამ ხელი აწიეთ, რომ თბილისელები ხართ და როგორ ყველას გყვარებიათ ილია და აკაკი — სოფლელები... აი, რა ხდება აქა... რა ვუყოთ ამათ... ამაშია საქმე, მეგობრებო... რომ მაგათი არც ფილოსოფია, არც ზნეობა და არც კიდევ რამ, არ არის მყარი და დამყარებული ქართულზე, იმაზე რასაც ქვია... გახსოვთ თქვენ ალბათ: „ცვრიან ბალახზე ფეხშიშველი თუ არ გავივლი, რაა მამული...

**ეხლა, რომ შეიძლებოდეს მაგათ ეხლა ჩვენ „ტუფლები“ გავხადოთ, ის ფრანგული „ტუფლები“ და ერთი გავახეირნოთ აგერ აქ „ალექსანდროვის ბაღი“ რომ ერქვა. ეხლა არ ვიცი, რა ჰქვია, აი აქ, რომ ბალახზე გავატარ-გამოვატაროთ, თქვენ იცოდეთ, პუტჩი ჩაშლილი იქნება ხვალათ...** მოდი, მე მაგალითად შემოგთავაზებდით, ერთი რეზოლუცია მიგველო ჩვენ. „რეზოლუცია, რომ, ქალბატონი ლანა, ბატონი ვახტანგ გოგუაძე, ბატონი ელდარ შენგელაია ბატონი ჰაბუა ამირეჯიბი, ბატონი... რა ვიცი, ვინ არი, რამდენია... ზოი.. ჯანსული, ბატონი ჯანსული არ დამავიწყდეს, ჩემი კოლეგაა, ბატონ[ო] ჯანსულ, დაიძრეთ „ტუფლები“ [...] თხუთმეტწუთიანი სეირნობა გამო[...] გიწერათ, აი, აქ ქართველებმა, ე[...] თად ბალახზე.. ცვრიანი თუ არ ი[...] ნება, დავნამოთ ბატონო, წყალი [...] ვასხათ... ხო ხართ ამის თანახმა, [ქა]რთველებო? (ვართ, ვართ! — ისმ[ის] შეძახილები — რედ.). მე მგონ[ი] ეშველებათ... ბოლმა არ იყოს, [...]რო გამოვდივარ, თურმე ეხლა, უ[...] კავენ იმას რა ქვია... ჩემთან ოჯახ[...]მი დაურეკიათ. ერთი, ა, რა სინდი[...]სია ახლა ეს? შენ ჩემთან თუ რა[...] გინდა, მე მითხარი და ჩემს ქალ[...]შვილს რო ეუბნები რაღაცას, რო[მ] ერთი სიტყვით, შეურაცხყოფა მ[ი]აყენეს. ეს არ არის სწორი... ჩემ[...]თვის ეთქვათ... თუ მაგათ მე ვაღ[ი]რვიულებ)... ვაღერვიულებ ძალი[ან], მეგობრებო. რაღაცა სია შეუდ[გე]ნიათ... სია შეუდგენიათ, რომ [...] სიაშიც მეცა ვარ რამდენიმე კაც[ი] — „ყველაზე მეტად ეგენი არ გ[ვ]ყვარს ჩვენო, ძალიან ვერ ვიტ[ან]მაგათო“. ეხლა, ჯერ ერთი, მიყ[...]რებთ მე და რომელი ყარამან ყან[...]ლი მე ვარ, ჩემს აწევას რა უნ[და] და გადატანას სადმე, მაგრამ მე [...] არ უნდა ამიტანო, მე დალოცვი[...]ან გადამიტანო, არამედ მომისმინ[ო,] მომისმინო და გააკეთო ის, რას[აც] გთხოვ — გადაშალო წიგნი... [...] მაგათ დავაწყებინებდი სულ თავი[...]დან, მეგობრებო, სულ თავიდან: [...] ქალბატონო ლანა, არის ასო „ა“, მერე ეს არის „ი“... (ტექსტის და[...]რჩენი ნაწილი დაბეჭდილია გაზ. „[...] ნათლებაში“ (25/IX.1991 წ.).

●

**რედაქციის ბოლოთქმა:** ზე[მოთ] ჰომეროსი ვახსენეთ. დიდი ბერძ[ენი] პოეტის შეწუხება კიდევ ერთხ[ელ] დაგვჭირდება.

როცა გრიგოლ ორბელიანს ალ[ე]ქსანდრე ყაზბეგის (მოჩხუბარიძ[ის]) თხზულებანი წაუკითხავს, ალფრთ[ო]ვანებულს წიგნის არშიაზე წაუწ[ე]რია, „შაბაშ, მოჩხუბარიძევ, ქართ[ვე]ლთა ჰომიროსი ხარ“.

ვინც ჩვენი დეპუტატის ზემო[თ] წარმოდგენილ ტექსტს ჩაავლე[ბს] თვალს, შეუძლებელია მასაც არ [...] მოსცდეს გახარებულს: „შაბაშ, პ[ე]ტრიაშვილო, ქართველთა ჰომირო[]სი ხარ!“


# გამოიწერეთ!
# გამოიწერეთ!
# გამოიწერეთ!
# გაზეთი „საქართველო“


## ჩვენს მკითხველებს!

გაზეთი დასაბეჭდად მზად იყო, როდესაც წუხელ, ღამის 12 საათზე, არაოფიციალური წყაროებით შევიტყვეთ, რომ ეროვნული გვარდიის სამთავრობო ნაწილმა აიღო შავნაბადა.

თუ რის ფასად დაჯდა ეს, ამის შესახებ ცნობები არ გვაქვს და ვერაფერს გაუწყებთ.


ინდექსი 68447

ფასი 40 კაპ.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ჭავჭავაძის პრ. № 35. ტელ: 22-16-01.
იბეჭდება ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოში“
შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

რედაქტორი ნოდარ გრიგალაშვილი